აჭარა

გამოცემის 105-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№16 (25.194) 2 მაისი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 15-20, მაღალ მთაში - 10-15 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

ბათუმს კიდევ ერთი რეკრეაციული სივრცე შეემატა

თამარის დასახლებაში, ძმები ნობელების ქუჩაზე, ახალი სკვერი გაშენდა, რისთვისაც 1.5 მილიონამდე ლარი იყო გათვალისწინებული

პროექტის ფარგლებში მოეწყო დასასვენებელი, საბავშვო და სპორტული ზონები, ველობილიკი, სრულიად ახალი სანიაღვრე და გარეგანათების სისტემები, ასევე, საპარკინგე სივრცე. განხორციელდა გამწვანების სამუშაოები და განთავსდა საბაღე ინფრასტრუქტურა. აღნიშნული სივრცე მოემსახურება თამარის დასახლებაში მცხოვრებ 200-მდე ოჯახს.

ახალი რეკრეაციული სივრცე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილმა ქალაქ ბათუმის მერთან არჩილ ჩიქოვანთან, უმაღლესი საბჭოს დეპუტატ რამაზ ჯინჭარაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძესთან და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

- ჩვენი ქალაქის განვითარება ეფუძნება არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ განახლებას, არამედ იმ გარემოს შექმნას, რომელიც გააუმჯობესებს მოქალაქეთა ყოველდღიურ ყოფას. ამ კონტექსტში რეკრეაციული სივრცეების არსებობა და განვითარება ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა.

წელს მუნიციპალიტეტი 35 რეკრეაციული სივრცის მშენებლობა-რეაბილიტაციას გეგმავს.

ინფრასტრუქტურული პროექტები და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება კვლავაც პრიორიტეტულია

გარკვეული პაუზის შემდეგ, თითქმის სრული შემადგენლობით გაიმართა ქალაქ ბათუმის საკრებულოს სხდომა. ძირითადი საკითხების განხილვამდე დრო დეპუტატების განცხადებებს დაეთმო. პოლიტიკური განცხადებების პარალელურად, ოპოზიციის წარმომადგენლებმა მედიაზე ზეწოლა გააპროტესტეს და მედიამენეჯერ მზია ამაღლობელს კიდევ ერთელ გამოუცხადეს სოლიდარობა. მათი პროტესტი ბოლო დროს განხორციელებულ დაპატიმრებებს, ასევე, მათივე თქმით, განსხვავებული აზრის ადამიანების საცხოვრებლების ჩხრეკას მოჰყვა და დღის წესრიგში ახალი სამართლიანი არჩევნების აუცილებლობა დააყენა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოპონენტების შენიშვნებს რეალობას მოკლებული პრეტენზიები უწოდეს და მათ წინა ხელისუფლების დაკავებები შეახსენეს. ქალაქის გენგეგმის არარსებობა, უკანონო და დაუსრულებელი მშენებლობები, სატრანსპორტო მოძრაობის კოლაფსი, საპარგინგე ადგილების არარსებობა, ავარიული სახლებისა და საბავშვო ბაღების, რკინიგზის გადასასვლელის პრობლემის მოგვარება, სადაც ბოლო დროს არაერთი უბედური შემთხვევა მოხდა, ადლიის დასახლებაში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები - ეს ის საკითხებია, რაზეც დეპუტატებმა კონტროლის გამკაცრება და მათი მოგვარება მოითხოვეს.

სხდომას კამათის გარეშე არც ამჯერად ჩაუვლია. განცხადებების გაკეთების შემდეგ, ოპოზიციის წარმომადგენლები დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას არ დაელოდნენ და სხდომა დატოვეს.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დეპუტატებს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ედნარ ნატარიძემ გააცნო. როგორც მან აღნიშნა, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ 401 724,7 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ 446 941,6, ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ 460 224,7, ფაქტიურმა შესრულებამ კი 412 598 ათასი ლარი შადგინა.

- 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელმა, საერთო ჯამში, 90% შეადგინა. აქედან, განათლების მიმართულებით შესრულების მაჩვენებელი - 88,1 პროცენტი, კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის მიმართულებით - 91,8%, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით - 90,1%, სანიტარიული ზედამხედველობისა და ეპიდსიტუაციის მართვის მიმართულებით -99,4%, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით - 88,2%, ქალაქის დასუფთავების, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით კი 94.0%-ია. გასულ წელს ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახლდათ, ასევე, მნიშვნელოვანი საკითხია და დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, - აღნიშნა ედნარ ნატარიძემ.

ცვლილება შევიდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების და სათადარიგო ნაწილების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საკრებულოს 2025 წლის 27 თებერვლის განკარგულებაში. ცვლილების მიხედვით, სათადარიგო ნაწილების დანართი განახლებული სახით ჩამოყალიბდა.

სხდომაზე განსაზღვრეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასური. კერძოდ, ქალაქის ტერიტორიაზე ელექტრომობილის დასამუხტი აპარატების განთავსებასთან დაკავშირებით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ 2025 წლის შეფასებიდან გამომდინარე, ქონების შემდგომში განკარგვის მიზნით, წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვრა 16 000,0 (თექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

ცვლილება შევიდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 1253 მუხლით, 135-ე და 1351 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 1253 მუხლით, 135-ე და 1351 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფიქსრზე ან/და ფოტოფიქსრზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში.

საკრებულომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სულ 4 საკითხზე იმსჯელა და დაამტკიცა.

მანანა ტაკიძე

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საკანონმდებლო პაკეტი, მზია ამაღლობელის საქმე და ჩხრეკა ფონდების დამფუძნებლებთან

მიმდინარე კვირაში პოლიტიკური პარტიების აკრძალვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მეორე მოსმენით მუხლობრივად განიხილა და მხარი დაუჭირა

პროექტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლება აკრძალოს პარტია, რომლის გაცხადებული მიზანი, საქმიანობის არსი - მათ შორის პერსონალური შემადგენლობა სასამართლოს მიერ უკვე აკრძალული პარტიის გაცხადებულ მიზანს, საქმიანობის არსსა და პერსონალურ შემადგენლობას იმეორებს.

მმართველ გუნდში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქვეყანას არ სჭირდება პოლიტიკური პარტიები, რომლებიც დანაშაულს სჩადიან და ასეთი პარტიები ქართულ პოლიტიკაში აღარ უნდა იყოს.

„ვინც დანაშაულს სჩადის, ციხეში პატიმრებს აუპატიურებს, ქუჩაში ადამიანებს ხოცავს და ვინც ადამიანებს ქონებას ართმევს, ბუნებრივია, მათი ადგილი პოლიტიკურ სივრცეში არ არის“, - აღნიშნა მედიასთან საუბარში პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დავით მათიკაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის თქმით, პარტიების აკრძალვასა და არაკონსტიტუციურად გამოცხადებაში არაფერი იცვლება, რადგან ეს წესი უკვე წლებია მოქმედებს და მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებსაც სურდათ მათ გამოყენება.

„ეს ის წესი და პროცედურაა, რომელიც წლებია მოქმედებს. ერთადერთი, რაც ახლა ემატება, არის ის, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რომელიმე პარტიის არაკონსტიტუციურად გამოცხადება, არ მივცეთ მის წევრებს საშუალება, რომ გვერდი აუარონ სისტემას და იგივე შინაარსის გაერთიანებას, უბრალოდ, სხვა სახელი დაარქვან, გამოცვალონ აბრევიატურები ოფისში და გააგრძელონ ჩვეულებრივად ფუნქციონირება. თუკი იქნება პოლიტიკური პარტია, რომელსაც ფაშისტური იდეოლოგია აქვს და ეს ჩაითვლება არაკონსტიტუციურად, შემდეგ იგივე ხალხი, იგივე მიზნებით, იგივე ოფისში გამოვლენ და აბრას გამოცვლიან და ნაცვლად ერთი პარტიის სახელისა, დააწერენ მეორე პარტიას, ეს ხომ ვხვდებით, რომ არის სისტემისთვის გვერდის ავლა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, არ მივცეთ ასეთ არაკონსტიტუციურ პარტიებს საშუალება, რომ შემდეგ გვერდი აუარონ კანონმდებლობას“, - აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.



ოპოზიციაში მიაჩნიათ, რომ მსგავსი საქციელი ევროპას კიდევ უფრო გვაშორებს და ეს ნაბიჯი დიდ საერთაშორისო ასპარეზზე რეპუტაციულ ზიანს მიაყენებს ქვეყანას.

„უნდა გვესმოდეს, რამდენად მიუღებელი იქნება დასავლეთისთვის ნებისმიერი ის სახელმწიფო, სადაც ოპოზიცია, პირდაპირი მნიშვნელობით, იკრძალება - როდესაც ისედაც ზერეპრესიულ რეჟიმში აკრძალვას ითვალისწინებს.

კოალიციის „ლელო - ძლიერი საქართველო“ წევრები კი ამბობენ, რომ მსგავსი გადაწყვეტილება დიქტატურის დამყარების მაგალითია.

„ივანიშვილმა დაგვიანონსა, 2024 წლის აპრილში, რომ აპირებდა პოლიტიკური პარტიების აკრძალვას. ეს არის დიქტატურის ანონსი. ვიცით, რომ ამ ოპოზიციურ პარტიებს მილიონზე მეტი ადამიანი უჭერს მხარს. შესაბამისად, სულ მცირე, ქვეყნის 1/3 რომ უჭერს მხარს პარტიებს, მათი აკრძალვის გამოცხადება ოფიციალურად დიქტატურის გამოცხადებას ნიშნავს. ეს ვერასდროს მოხდება“, - აღნიშნა მედიასთან საუბარში „ლელო - ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გრიგოლ გეგელიამ.

28 აპრილს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში, გამოცემების „ბათუმელებისა“ და ,,ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ მზია ამაღლობელის საქმეზე მორიგი პროცესი გაიმართა. მოსამართლემ მედიამენეჯერი კვლავ პატიმრობაში დატოვა, არგუმენტად კი ახალი დანაშაულის ჩადენის გაზრდილი საფრთხე დაასახელა.

„ახალი დანაშაულის ჩადენა - პირველი დღიდან, როცა ეს გაჟღერდა, ეს რა ნიშნავს?! თუ ახალი დანაშაულის ჩადენა შემიძლია, ეს საპატიმროშიც შეიძლება, იქაც მაქვს ძალოვნებთან კომუნიკაცია. ყველაფერს გავაკეთებ ევროინტეგრაციისთვის და თავისუფალი სიტყვის გამოხატვის დასაცავად“, - განაცხადა მზია ამაღლობელმა მოსამართლის საპასუხოდ.

მოსამართლის გადაწყვეტილებას უკმაყოფილება მოჰყვა დარბაზში და დარბაზს გარეთ, სადაც მზია ამაღლობელის მხარდასაჭერად აქცია მიმდინარეობდა.

აღნიშნულ პროცესზე პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მოწმის სახით, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი გრიგოლ ბესელია გამოიკითხა. პროცესზე, ასევე, უნდა გამოკითხულიყო ბათუმის პოლიციის უფროსი ირაკლი დგებუაძე, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ გრიგოლ ბესელიას დაკითხვა დიდხანს გაგრძელდა, სამუშაო საათების ამოწურვისას დაცვის მხარემ პროცესის გადადება მოითხოვა.

მზია ამაღლობელის შემდეგი პროცესი 8 მაისს ჩაინიშნა, სადაც ირაკლი დგებუაძე გამოიკითხება.

შეგახსენებთ, მზია ამაღლობელი ბათუმის პოლიციის უფროს ირაკლი დგებუაძეზე თავდასხმის ბრალდებით 11 იანვარს დააკავეს. 14 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო სახელაშვილმა პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

29 აპრილის დილა ძალიან უჩვეულო აღმოჩნდა, რადგან დილიდან სხვადასხვა ფონდის დამფუძნებლების სახლებში ჩხრეკა ჩატარდა. საგამოძიებო მოქმედებები „ნანუკას ფონდის“ დამფუძნებელ ნანუკა ჟურჟოლიანის, მისი შვილის, სამოქალაქო აქტივისტ მარიამ გეგუჩაძის, ასევე სამოქალაქო აქტივისტ მარიამ ბაჯელიძის და „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ხელმძღვანელ ალეკო ცქიტიშვილის საცხოვრებელ სახლებში ჩატარდა. საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა ფონდ „ფროსფერითი ჯორჯიას“ დამფუძნებელ ლაშა არველაძისა და ფონდ „ერთმანეთისთვის“ დამფუძნებელ გუგა ხელაიას საცხოვრებელ სახლებშიც. ადვოკატების განცხადებით, ჩხრეკის შედეგად, ძირითადად, ამოიღეს ლეპტოპები და მობილური ტელეფონები.

აღნიშნულ საკითხზე საქართველოს პროკურატურამ განცხადება გაავრცელა, სადაც ვკითხულობთ, რომ საქართველოს საბოტაჟის, დამამძიმებელ გარემოებაში საბოტაჟის მცდელობის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისთვის ფინანსების მობილიზების ფაქტებზე დაიწყო პროკურატურამ გამოძიება.

აღნიშნულ საკითხზე განცხადება გააკეთეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც.

„სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენება ამგვარი ფონდების საქმიანობის ხელშესაშლელად არა მხოლოდ მორალურად გაუმართლებელია, არამედ მიმართულია თანაგრძნობის გამოხატვის კრიმინალიზაციისა და იმ ადამიანების გაჩუმებისკენ, ვინც ღირსებისა და სამართლიანობისთვის იბრძვის. ჩხრეკები, რომლებიც არასათანადო სამართლებრივი საფუძვლისა და გამჭვირვალობის გარეშე ჩატარდა, პოლიტიკურად მოტივირებულია და წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების წინააღმდეგ მიმართული ფართო კამპანიის ნაწილს“, - აღნიშნულია არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებაში.

ფონდების ჩხრეკას გამოხმაურება მოჰყვა პოლიტიკურ სპექტრშიც. მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ ფონდების თანხები დესტაბილიზაციას ხმარდებოდა.

„ცალსახად ვხედავთ, რომ გარედან არის მცდელობა, მოაწყონ დესტაბილიზაცია, შეეცადონ არადემოკრატიული გზით ხელისუფლების შეცვლას, ამიტომ პროკურატურამ ამ მხრივ ქართველ ხალხს პასუხი უნდა გასცეს. ეს არის მნიშვნელოვანი და სწორი ნაბიჯები იმ მხრივ, რომ საზოგადოებას ჰქონდეს სრული სურათი, რასთან გვაქვს საქმე“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა.

ოპოზიციაში კი ამბობენ, რომ განხორციელებული ჩხრეკები სადამსჯელო ოპერაციას ემსახურება.

„მინდა რეჟიმის წარმომადგენლებს ვუთხრა, უნდა იცოდნენ, რომ მათი ეს ქმედება არც შეუჩნეველი დარჩება საერთაშორისო საზოგადოებისთვის და არც დაუსჯელი საქართველოს კანონმდებლობით, როდესაც ამის დრო მოვა“, - განაცხადა მედიასთან საუბარში „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურმა მდივნმა გიორგი ბარამიძემ.

თამარ ლამპარაძე

ქრონიკა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი, ქალაქ ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანთან ერთად, რუსთაველის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს. პროექტი გულისხმობს არსებული ქვაფენილის ჩანაცვლებას ასფალტის საფარით. რუსთაველის ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სრულად განახლდება სანიაღვრე და ენერგოინფრასტრუქტურა. მოეწყობა მიწისქვეშა კომუნიკაციები, ტროტუარი, ბორდიურები, გზაგამყოფი ზოლი მწვანე საფარითა და დეკორატიული ნარგავებით, უსაფრთხოების კუნძულები, შუქნიშნები და საგზაო ნიშნები. სამუშაოები, რომელსაც რამდენიმე კომპანია ინტენსიური დატვირთვით ასრულებს, უახლოეს პერიოდში დასრულდება.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი აჭარაში ვიზიტით მყოფ გაეროს, ბურუნდის, ლესოტოსა და ნეპალის მუდმივ წარმომადგენლებს შეხვდა. ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს. შეხვედრისას მთავრობის თავმჯდომარემ ელჩებს მადლობა გადაუხადა რეგიონისადმი გამოხატული ინტერესისთვის და ხაზი გაუსვა ამგვარი ვიზიტების მნიშვნელობას, რაც კარგ შესაძლებლობას იძლევა აჭარისა და მთლიანად ქვეყნის გაცნობის კუთხით. სულხან თამაზაშვილმა ისაუბრა გაეროსა და მის სააგენტოებთან თანამშრომლობის მიმართულებებზე, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვასა და დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობაზე, ასევე, რეგიონში სხვადასხვა მსხვილი პროექტის განხორციელების, მათ შორის სოფლის განვითარებისა და ურბანული ინფრასტრუქტურის მიმართულებაზე.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე ესწრებოდა. განიხილეს ზაფხულის მოახლოებული ტურისტული სეზონისთვის მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოები, რეგიონში ტურისტული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებები და არსებული გამოწვევები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ტურიზმის განვითარების გრძელვადიან ხედვებზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ აჭარა უნდა დარჩეს არა მხოლოდ ზაფხულის, არამედ ოთხივე სეზონის განმავლობაში მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებად.

* * *

მოახლოებული ტურისტული სეზონისთვის გასატარებელი ღონისძიებები განიხილეს ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, რომელსაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი ხელმძღვანელობდა. მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, სხდომაზე საინვესტიციო პროექტებზე, კერძო სექტორში არსებული გამოწვევებისა და ინვესტიციების ხელშეწყობის მექანიზმებზე იმსჯელეს. განსაკუთრებული ყურადღება სამრეწველო ზონაში მიმდინარე პროექტებს დაეთმო.

* * *

მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, 30 აპრილიდან მაისის ბოლომდე, საავტომობილო მოძრაობა შეიზღუდება იმედაშვილის ქუჩაზე, პუშკინისა და წერეთლის ქუჩებს შორის მონაკვეთში. შეზღუდვის პერიოდში საავტომობილო მოძრაობა შესაძლებელი იქნება ბერიძის ქუჩით. იცვლება მუნიციპალური ტრანსპორტის მარშრუტი: №7, №7 ა, №11, რომლებზეც ავტობუსები იმოძრავებს შემდეგი მიმართულებებით: №№7 - ბარათაშვილის, ჭავჭავაძის, დემეტრე თავდადებულის, პუშკინის, სულაბერიძის ქუჩები. №№7ა - სულაბერიძის, პუშკინის, დემეტრე თავდადებულის, ბარათაშვილის ქუჩები. №№□11 - ბარათაშვილის, ჭავჭავაძის, დემეტრე თავდადებულის, პუშკინის, სოხუმის ქუჩები. უკუმიმართულება ყველა მარშრუტზე იგივეა. შეზღუდვები უკავშირდება სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომელიც მოიცავს გიორგი ბრწყინვალის ქუჩიდან სულაბერიძის, პუშკინისა და იმედაშვილის ქუჩების მონაკვეთებს ბაქოს ქუჩამდე.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ მიხეილ სარჯველაძეს შეხვდა. ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივები. ხაზი გაესვა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, სამედიცინო სერვისების ხარისხის ამაღლებისა და რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების აუცილებლობას. სულხან თამაზაშვილმა მადლობა გადაუხადა მინისტრს აჭარაში განხორციელებული და მიმდინარე პროგრამების მხარდაჭერისთვის და გამოხატა მზადყოფნა აქტიური თანამშრომლობისთვის, რაც რეგიონში ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილმა, თურქეთის გენერალურ კონსულთან ბათუმში ადნან ალთაი ალთინორთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრისას ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობის მნიშვნელობას. თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს ურყევი მხარდამჭერია ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე, რისთვისაც მთავრობის თავმჯდომარემ კონსულს მადლობა გადაუხადა. ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მოიცავს ვაჭრობის, განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის სფეროებს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება მნიშვნელოვანია რეგიონის უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარებისთვის.

შეძლებს თუ ვერა აშშ რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებას?

მსოფლიო პოლიტიკაში მრავალი საკითხია აქტუალური: აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომი, ინდოეთ-პაკისტანი - ბირთვული ომის ზღვარზე, ისრაელ-ირანის დაპირისპირება... ამ მხრივ, ცხადია, რუსეთ-უკრაინის ომი ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანია, მეოთხე წელია მიმდინარეობს

ამ ომით რუსეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო სამართლის პრინციპები დაარღვია, რითაც პრეცედენტი შექმნა აგრესიისა და ოკუპაციისა, კრემლის ქმედებები პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ ამის თვალსაჩინო მაგალითია...

სამხედრო ექსპერტთა თქმით, ამჟამად რუსეთსა და უკრაინას შორის პოზიციური ომი მიმდინარეობს, ანუ ვერც პირველი იპყრობს ახალ ტერიტორიებს და ვერც მეორე ათავისუფლებს დაპყრობილ ტერიტორიებს და ეს რეალობაა, რასაც კარგად აცნობიერებენ მხარეები. რუსეთი ამ ომის დასრულებას რამდენიმე კვირაში ვარაუდობდა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, მეოთხე წელია მიმდინარეობს: ასიათასობით დაღუპული და დაჭრილი, მილიონობით ლტოლვილი, დანგრეული ინფრასტრუქტურა - ეს მხოლოდ მცირეოდენი ჩამონათვალია იმ სიბოროტისა, რაც რუსეთმა უკრაინას დამართა. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინამ შეძლო არა მხოლოდ გამკლავებოდა რუსულ არმიას, არამედ გაათავისუფლა დაპყრობილი ტერიტორიების ნაწილი, კერძოდ, ხერსონი. ოთხი წლის განმავლობაში რუსეთმა ვერც კიევის, ვერც ხარკოვის და ვერც ოდესის აღება შეძლო. უკრაინულმა არმიამ გამოფიტა რუსული არმია, თუმცა, როგორც ვთქვით, ოკუპირებულ ტერიტორიებს ვერ ათავისუფლებს, რასაც თავისი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები გააჩნია.

როგორც ჩანს, დასავლეთიც დაიღალა ამ ომით, მას უკრაინის დახმარება მილიარდობით დოლარი უჯდება, რაც მისი მოსახლეობის კეთილდღეობას აკლდება. სხვათა შორის, რუსეთ-უკრაინის ომი ტრამპმა საარჩევნოდ კარგად გამოიყენა - დაჰპირდა მსოფლიოს, რომ მას დაასრულებს.

აშშ-ის პრეზიდენტმა, როგორც ცნობილია, ამ მიმართებით მოლაპარაკებები გამართა მხარეებთან და გეგმაც წარადგინა, ანუ გარკვეული კონტურები გაამჟღავნა... კერძოდ, ერთთვიანი ზავის შემდეგ - დიდი შეთანხმება.

ამერიკული მედიის ცნობით, ტრამპი, პრაქტიკულად, ავალდებულებს უკრაინას, მიიღოს რუსეთის ოკუპაცია რეალური გარანტიების გარეშე.

რას იღებს რუსეთი:

1. ყირიმის დე იურე აღიარებას შეერთებული შტატების მიერ (არა - უკრაინის).

2. დონეცკის, ლუჰანსკის, ხერსონის და ზაპოროჟიის ოლქების დე ფაქტო აღიარებას შტატების მიერ (არა - უკრაინის);

3. ვალდებულებას, რომ უკრაინა არ გახდება ნატოს წევრი, ამასთანავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ უკრაინა, შესაძლოა, გაწევრიანდეს ევროკავშირში.

4. 2014 წლიდან დაწესებული სანქციების გაუქმებას;

5. გაძლიერებულ ეკონომიკურ თანამშრომლობას, კერძოდ, ენერგეტიკულ და ინდუსტრიულ სფეროში.

რას იღებს უკრაინა:

1. უსაფრთხოების ძლიერ გარანტიებს, ევროპული და, დაინტერესების შემთხვევაში, თანამოაზრე არაევროპული ქვეყნების მიერ სამშვიდობო კონტინგენტის განთავსებას;

2. კიევს დაუბრუნდება რუსეთის მიერ ოკუპირებული ხარკოვის ოლქის მცირე ნაწილი;

3. უკრაინას გარანტირებული ექნება შეუფერხებელი ნავიგაცია მდინარე დნეპრზე უკრაინის სამხრეთში;

4. კომპენსაცია და დახმარება ქვეყნის აღდგენაში.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ელემენტია აღსანიშნავი:

ზაპოროჟიის ატომური ელექტროსადგური გადაეცემა აშშ-ს, სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორია აღიარებული იქნება უკრაინის ტერიტორიად და მისგან გამომუშავებულ ენერგიას აშშ უკრაინას და რუსეთს გაუნაწილებს.

დოკუმენტში ნახსენებია შეთანხმება იშვიათი მინერალების შესახებ, რომელსაც, ტრამპის თქმით, ხელი უნდა მოეწეროს.

ამ სამშვიდობო გეგმის გასაჯაროებას მასმედიაში უკრაინის მხრიდან მძაფრი შეფასებები მოჰყვა, რადგან ვერცერთი უკრაინელი ლიდერი ვერ დათანხმდება გეგმას, რომელიც, პრაქტიკულად, უსაფრთხოების არანაირ გარანტიას არ შეიცავს.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა სამი პრინციპული პოზიცია მშვიდობის გეგმასთან დაკავშირებით:

1. უკრაინა არასოდეს აღიარებს ყირიმს ან თავისი ტერიტორიის სხვა ნაწილს რუსეთის ნაწილად;

2. უკრაინა არ დათანხმდება თავისი შეიარაღებული ძალების შეზღუდვას და, ასევე, პარტნიორებისგან სამხედრო დახმარების შეზღუდვას;

3. არცერთ მესამე ქვეყანას არ აქვს უფლება, ვეტო დაადოს უკრაინის მიერ ალიანსებისა და მოკავშირეების არჩევას.

სწორედ ასეთ მოსაზრებას ავითარებს ევროკავშირის თავდაცვის კომისარი ანდრიუს კუბილიუსი:

„რუსეთი მოითხოვს, რომ უკრაინა ნატოს წევრი არ გახდეს არა იმიტომ, რომ მათ უკრაინის ტერიტორიიდან ნატოს ანტირუსული თავდასხმის ეშინიათ, არამედ იმიტომ, რომ ეშინიათ ნატომ უკრაინა რუსეთის შემდგომი აგრესიისგან არ დაიცვას. უკრაინისთვის ნატოზე უარის თქმა რუსეთს სამომავლო აგრესიის დაგეგმვას უმარტივებს“.

რაც შეეხება რუსეთს:

„რა თქმა უნდა, ტრამპის წინადადება არც პუტინისთვის იქნება ბოლომდე მისაღები, მაგრამ შექმნილ ვითარებაში მას არ აქვს არანაირი მიზეზი, რომ ამაზე უარი თქვას, მით უმეტეს, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია მისი დარღვევა და ომის განახლება“, - აცხადებს ანალიტიკოსი აკა ზარქუა. ასეა თუ ისე, ერთი რამ უდავოა - რუსეთი არ იცვლება. საღდგომო ზავის პირობაც დაარღვია, რასაც ასობით ადამიანი ემსხვერპლა. ამ მხრივ საინტერესოა ანალიტიკოსთა მოსაზრებები.

გიორგი კობერიძე:

„რუსეთის მხრიდან კიევზე ამასწინათ მიტანილი იერიშით კრემლი ცდილობს:

1. უკრაინის იძულებას კაპიტულაციაზე - რუსეთმა იცის, რომ მისი მოთხოვნები არარეალისტურია, მაგრამ საჰაერო იერიშებით უკრაინის ხელისუფლებისა და ხალხის დემორალიზებას და გატეხვას ცდილობს;

2. დამამცირებელ სიგნალს აშშ-სთვის - კრემლში არ ადარდებთ, რას იფიქრებენ ვაშინგტონსა და ბრიუსელში;

3. სამხედრო დანაშაულების ნორმალიზებას - თუკი საერთაშორისო სამართლით შევხედავთ, პუტინი ძებნილი დამნაშავეა. მიუხედავად ამისა, მასთან მოსალაპარაკებლად ჩადიან. ეს უკვე პრობლემაა, მაგრამ ამას ემატება ისიც, რომ ამ მოლაპარაკებისასაც კი იგი დამატებით სამხედრო დანაშაულს სჩადის. ეს კი ამ სამხედრო დანიშნულების ნორმალიზებას ემსახურება - „ჩემთან ჩამოდიხართ, ხელს მართმევთ, მოლაპარაკებებზე სხდებით და მე ამ დროს ხალხს ვკვლავ“. სხვა დიქტატორებსაც მოეწონებათ ეს პრეცედენტი.

ევროპისთვის ნათელია, რომ თუკი უკრაინა დაეცემა ან მის წინააღმდეგ დაპყრობითი ომი შედგება, ევროპის უსაფრთხოება ჩამოშლის საფრთხის წინაშე დადგება, რადგან რუსეთი ყველაფერს იზამს ჰიბრიდული თუ პირდაპირი სამხედრო ოპერაციებითა და მხარდაჭერებით, ევროპის კონტინენტი სრულიად თავდაყირა დააყენოს. სწორედ, ამიტომ, უკრაინის მხარდაჭერა ნამდვილად გაგრძელდება და გაძლიერდება კიდეც. ომი რთულ ფაზაშია შესული, მაგრამ წლევანდელი წელი რომ კრიტიკული იქნებოდა და იქნება, ეს წინა წლიდან უკვე ნათელი იყო“.

გელა იერემაძე:

„უდავოა, რომ რუსეთის გამარჯვება ან მარცხი უკრაინაში უამრავი ქვეყნის ბედს გადაწყვეტს. თუ რუსეთი უკრაინაში დამარცხდება, ეს მნიშვნელოვანად დააჩქარებს მოლდოვის და ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციებს. სხვათა შორის, ევროკავშირმა მოლდოვას სამხედრო დახმარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია, საუბარია ასობით მილიონ ევროზე, რაც ამ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესია...

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ დღეს მესამე მსოფლიო ომისთვის მზად არის აშშ, ასევე, ევროპა, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთზე... ის ეკონომიკური სანქციები, რომლებიც, ფაქტობრივად, რუსეთის წინააღმდეგ არის ამოქმედებული, მას ძალიან აზარალებს, ამიტომაც ითხოვს რუსეთი ამ სანქციების მოხსნას, იმედია, დასავლეთი მანამდე არ მოხსნის ამ სანქციებს, ვიდრე რუსეთი არ შეწყვეტს ომს, ანუ ვგულისხმობ სამართლიან ზავს, რომელიც უკრაინის ინტერესებს უნდა ითვალისწინებდეს“.

ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, როდის დასრულდება რუსეთ-უკრაინის ომი და რა შეთანხმება დაიდება ამ ორ ქვეყანას შორის. ამას, ცხადია, ყველაზე კარგად დრო უპასუხებს, თუმცა ერთი რამ აშკარაა, თუ კოლექტიური დასავლეთი, აშშ-ის ხელმძღვანელობით, რეალურ ზეწოლას განახორციელებს რუსეთზე და ამავდროულად არ მიატოვებს უკრაინას, ანუ დაეხმარება სამხედრო თვალსაზრისით, მაშინ, სავარაუდოდ, ომის დასრულება და ზავის დადება სამართლიანი პირობებით მიიღწევა. ასე რომ, ვნახავთ, აშშ-ის პრეზიდენტი თავის დაპირებას (უკრაინის ომის დასრულებას) რამდენად შეასრულებს.

ლაშა ხომერიკი

ჯანდაცვა

ქვეპროგრამისთვის 243 000 ლარია გათვალისწინებული

ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისთვის, ბათუმის მერიის ქვეპროგრამის ფარგლებში, 243 000 ლარია გათვალისწინებული

მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის განყოფილების უფროსის მარინა რუხაძის განმარტებით, რეაბილიტაციის პროცესის ეს ნაწილი გულისხმობს ბათუმში მცხოვრები ფსიქიკური პრობლემების მქონე შშმ პირთა ინტეგრაციას ან რეინტეგრაციას საზოგადოებასთან, რაც ეხმარება მათ, მოერგონ ოჯახისა და საზოგადოების მოთხოვნებს.

- ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ბათუმში რეგისტრირებულ, 18 წელს გადაცილებულ, ფსიქიკური პრობლემების მქონე შშმ პირებს. თითოეული ბენეფიციარისთვის რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამას ვადგენთ. კერძოდ, უტარდებათ ერგოთერაპია, არტთერაპია, ოკუპაციური თერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პედაგოგის მომსახურება, ბენეფიციარები ჩართული არიან სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში, რითაც გამოუმუშავდებათ საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევები, - გვითხრა მარინა რუხაძემ.

როგორც მერიაში გვითხრეს, ქვეპროგრამის ბენეფიციარებზე გაიცემა ყოველთვიური ვაუჩერი. მომსახურება გაეწევა ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ პირებს.

ბენეფიციარმა ღონისძიებაში ჩასართავად განცხადებით უნდა მიმართოს მერიას და წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა და ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა.

მარინა რუხაძის განმარტებით, პირისპირ მეცადინეობის ჩატარების შემთხვევაში, ერთეულის ფასი შეადგენს 24 ლარს - ერთი დღე, ხოლო დისტანციური მეცადინეობის შემთხვევაში - 14.40 ლარს.

1 110 000 ლარი – კლიმატოთერაპიის კურსის ჩატარებისთვის

ზოგიერთი მოწყვლადი კატეგორიის პირებისათვის ქალაქის ბიუჯეტით 1 110 000 ლარია გათვალისწინებული. ქვეპროგრამას ბათუმის მერიის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ახორციელებს და 1 853 ბენეფიციარზეა გათვლილი

როგორც მერიაში გვითხრეს, შშმ პირებისა და შეძენილი შშმ სტატუსის მქონე (ომში და ომის შემდგომ) პირებისათვის, დაავადებიდან გამომდინარე, აუცილებელია კლიმატოთერაპიის კურსის ჩატარება, რომელიც ეხმარება მათ დაავადების დაძლევასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, შემუშავდა ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შშმ პირებისა და შეძენილი შშმ სტატუსის მქონე (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის მქონე 35 წლამდე ასაკის პირების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების და მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების 12-დღიან დასვენებას და კლიმატოთერაპიის ჩატარებას.

როგორც მერიაში აცხადებენ, ბენეფიციარს წლის განმავლობაში შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ერთი საკურორტო მომსახურებით. ღონისძიებებს შორის გადანაწილება შეიძლება ფაქტიური მოთხოვნილებიდან გამომდინარე განხორციელდეს.

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ბათუმში, 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ ბენეფიციარებს.

ომში და ომის შემდგომ შეძენილი შშმ სტატუსის მქონე პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და ომის ვეტერანები (ასაკით პენსიონერები) 2025 წლის 1 იანვრამდე აღრიცხვაზე უნდა იყვნენ ვეტერანთა საქმის დეპარტამენტის ბაზაში.

მანანა ტაკიძე

გია აბაშიძე: კარგი არ არის დემოკრატიისთვის, როდესაც ოპოზიცია ასეთი უპრინციპო, უსუსური და არათანმიმდევრულია

საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა-მისალმების შესახებ, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკასა და ეკონომიკის პერსპექტივებზე საუბრობს „აჭარასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში პოლიტოლოგი ***გია აბაშიძე.***

- ბატონო გია, რომის პაპის დაკრძალვაზე ტრამპისა და ყაველაშვილის შეხვედრა კვირის თემა გახდა. როგორ ახსნით მათ უცნაურ გადაკვეთას ამ სივრცეში?

- დავიწყოთ იქიდან, რომ ვატიკანის პროტოკოლმა გადაწყვიტა, ტრიბუნის პირველ რიგში დაესვა სხვადასხვა ქვეყნის მეთაურები ალფაბეტის მიხედვით. ამისთვის გამოიყენეს ფრანგული დიპლომატიური ენის ანბანი. შედეგად, ჯორჯია-საქართველო ავტომატურად მოექცა პირველი რიგის შემადგენლობაში. იქ განლაგდნენ ქვეყნების პრეზიდენტები და არა - პრემიერ-მინისტრები. ეს კატეგორია ავტომატურად მოექცა მეორე-მესამე რიგში. რაც შეეხება ჩვენი პრეზიდენტის ტრამპთან შეხვედრას, ჩემთვის ყველაზე სარწმუნო წყარო გახლავთ სტატიან ავტორიტეტულ საინფორმაციო სააგენტო „ასოშიეიტიდ პრესის“ ფოტომასალები, მათთან გამორიცხულია მონტაჟი და სხვა ტიპის ყალთაბანდობა, ხოლო ის რაკურსები, რომლებიც ოპოზიციურმა მედიამ და რადიკალმა ოპოზიციონერებმა გაავრცელეს, სიცრუეა. ამაზე ინსინუაციები: „შეხვედრა არ ყოფილა“, თუ „ხელი სხვას აუწია“ - გაუმართლებელია, ეს არის ძალიან მდაბიო სპეკულაციები, მეტი არაფერი.

- ზელენსკისა და ტრამპის განცალკევებულ შეხვედრაზე ბევრი ვარაუდი გამოითქვა. რას ფიქრობთ, თუ მოხდება დადებითი ძვრები ომის დასრულების კუთხით?.. ამჯერად, თითქოს პუტინი გადასწია ტრამპმა უკანა პლანზე...

- აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: ვატიკანმა, ალბათ, ისევ და ისევ ამერიკის კარნახით, დაკრძალვის ცერემონიაზე ერთმანეთისგან შორს დასვა ზელენსკი და ტრამპი... მოგეხსენებათ, უკრაინასთან დაკავშირებით ურთულესი სიტუაციაა, ხოლო ზელენსკის მდგომარეობა გასაგებია. დასავლეთის არაერთ სერიოზულ გამოცემაში არაერთხელ ითქვა, რომ შეერთებული შტატები (და არა უკრაინა) აღიარებს ყირიმის რუსეთის კუთვნილებაში გადაცემას, ანუ აღმოსავლეთ უკრაინას ნაწილი ჩამოეჭრება და რუსეთის მმართველობაში გადავა. წინასწარ შეუძლებელია ტერიტორიების გადანაწილებაზე საუბარი, მაგრამ ამ ნაბიჯზე წასვლა არა მხოლოდ ზელენსკის, ნებისმიერი ქვეყნის მმართველისთვის პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნებოდა. ამ შემთხვევაში ზელენკის თავად უკრაინელები დაუპირისპირდებიან, პირდაპირ ეტყვიან: თუ ტერიტორიები ჩამოგვართვეს, ყირიმი აშშ-მა აღიარა, ნეიტრალიტეტს ვაცხადებთ, რაც ნატოში გაწევრიანებას გამორიცხავს, ევროკავშირში შესვლა, თავად ევროლიდერების განცხადებით, შორეული პერსპექტივაა, მაშინ რისთვის დაიღუპა ამდენი ადამიანი? რისთვის განადგურდა ქვეყანა და ასე შემდეგ. ტრამპის და ზელენსკის საუბარი კონკრეტულად რას შეეხო, ჯერ არ გახმაურებულა, თუმცა აქვე ხაზი უნდა გავუსვათ ტრამპის ხისტ დიპლომატიას. კერძოდ, ამ შეხვედრაზე არ დაისწრო მაკრონიც კი. ზელენსკის მოგვიანებით შეხვდნენ საფრანგეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთისა თუ ევროპარლამენტის ლიდერები. რაც შეეხება პუტინს, იგი აგრძელებს უკრაინის დაუნდობელ დაბომბვას და ითხოვს ზელენსკისთან პირისპირ შეხვედრას დამამცირებელ და წამგებიან პოზიციებზე დასათანხმებლად. ცხადია, ყველას წარმოგვიდგენია, რა დამოკიდებულება აქვს უკრაინის ელიტას რუსეთის ჩინოვნიკების მიმართ. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ვერ შეთანხმდებიან და მოლაპარაკებები თუ ჩხუბში არ გადაიზრდება, ჩაიშლება მაინც. იქ მედიატორი ნამდვილად დასჭირდებათ. შეხვედრაში ევროპელების ჩართვა გამოირიცხა, რადგან ტრამპი აცხადებს, რომ ომის თემა მისი მოსაგვარებელია... მოკლედ, ურთულესი სიტუაცია იქმნება. რაც უფრო იწელება კონფლიქტის მოგვარება, მით უფრო წამგებიან მდგომარეობაში ვარდება უკრაინა. ზელენსკის უკვე გამოუჩნდა სერიოზული ოპონენტი - კიევის მერი ვიტალი კლიჩკო, რომელიც აცხადებს, რომ მოუწევთ რიგი ტერიტორიების დათმობა... უკვე ათწლეულებია, ქართველებმა კარგად ვიცით, ეს რა მტკივნეული თემაა. ისიც ვიცით, რას ნიშნავს გაყინული კონფლიქტები, ჟენევაში შეხვედრები შეხვედრებისთვის, ფურცლები, დეკლარაციები, ყოველგვარი რეალური გადაწყვეტილების და შედეგის გარეშე რომ რჩები... ასე რომ, ჯერ კიდევ გაუგებარია, რა და როგორ მოგვარდება.

- მმართველი გუნდი აცხადებს, რომ ტრამპის გუნდს და საქართველოს მმართველ პარტიას თანმხვედრი დღის წესრიგი აქვთ სახელმწიფოების, ეროვნული ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვაზე... საბოლოოდ როგორ განვითარდება ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა?

- „ქართული ოცნება“, ისევე როგორც უნგრეთის მმართველი წრეები, ტრამპის გარემოცვის მსგავს იდეოლოგიებს იზიარებს. სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მიიწვიეს ღარიბაშვილი კონსერვატორთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ანუ ღირებულებები თანმხვედრია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტი საკმაოდ ჭრელია და როგორც დემოკრატების, ისე რესპუბლიკელებისგან შედგება. დემოკრატები არიან კონგრესის ორივე პალატაში და სახელმწიფო დეპარტამენტში. აქვე ისმის კითხვა, თუ ჩვენი ქვეყანა ეგრეთ წოდებულ იზოლაციაშია, მაშინ რატომ დაიწყო ესტაფეტა აშშ-ის ელჩმა მაკა ბოჭორიშვილთან შეხვედრით, ახლაც ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი და ეროვნული ბანკის ლიდერი ჩაერთნენ ვაშინგტონში ამერიკელ კოლეგებთან მოლაპარაკებებში. როდესაც ვიღაცის იგნორირება გინდა პირად ურთიერთობაში, პოლიტიკურ სიბრტყეში თუ ბიზნესსივრცეში, არანაირ შეხვედრებს არ აწყობ, ფოტოებს მედიაში არ ავრცელებ და მრავალსაათიან მოლაპარაკებებს არ აწარმოებ. ეს ყველაფერი, ცხადია, იმედის მომცემია. აქვე ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ აშშ-ის პოლიტიკური წრეებიც საკმაოდ არაერთგვაროვანია. იქ არიან ნეოლიბერალები - დემოკრატების სახით და არიან რესპუბლიკელები, რომლებიც აერთიანებენ კონსერვატორებსაც და ნეოლიბერალებსაც. ამიტომ ტრამპს თავად ჰყავს დასამარცხებელი ეს დიპ სტეიტი (ტერმინი „Dip steiti“ გულისხმობს მთავრობის, სამხედრო ან სხვა პოლიტიკური სუბიექტების ძლიერი და გავლენიანი წევრების სავარაუდო ჩრდილოვან ქსელს), რომელთან ბრძოლა დაიწყო კიდეც. მის მიერ გაცხადებული დღის წესრიგია - მშვიდობისმყოფელი პრეზიდენტის იმიჯის ჩამოყალიბება კონფლიქტების დასრულების გზით, ახალი კონფლიქტის კერების ჩაქრობა და საკუთარი ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილება. ტრამპი მსხვილი ბიზნესიდან მოდის, ის ბუნებით მტაცებელი ბიზნესმენია და იგივეს აკეთებს საერთაშორისო პოლიტიკაშიც. აშკარაა, რომ მისი ბიზნესინტერესი კავკასიაზეც გაივლის. აქ აღმოსავლეთ-დასავლეთის საკმაოდ პერსპექტიული დერეფანი დინამიკურად ვითარდება, რომლის მიმართ პრაგმატული ბიზნესინტერესი ექნება აშშ-საც, ხოლო საქართველო, სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად, მზადაა, იქცეს სამშვიდობო კერად. მოკლედ რომ ვთქვათ, პერსპექტივები დამაიმედებელია, თუმცა, როგორც ყოველთვის, პოლიტიკოსები ურევენ, განსაკუთრებით - ბრიუსელსა და პოლიტიკურად ჭრელ ვაშინგტონში.

- ახალი სატრანზიტო მარშრუტები საქართველოზე გადის და ცხადია, თბილისთან უარგუმენტოდ ურთიერთობის თუნდაც დროებით გაფუჭება არ შედის ევროპის ქვეყნების სტრატეგიულ ინტერესებში. მაინც რატომ ასანქცირებს ევროპარლამენტი „ქართული ოცნების“ ელიტას? ნუთუ ასეთი დიდი გავლენა აქვს მასზე ოპოზიციას?

- საქართველოს რადიკალურ ოპოზიციას დიდი გავლენა არა აქვს და ვერც ექნება დასავლეთის სტრუქტურებზე, უბრალოდ, „ნაცოპოზიციის“ და ევროპარლამენტის რიგი წევრების ინტერესები ემთხვევა, მათ საერთო მიზნები ამოძრავებთ. „ნაცებს“ სურთ მმართველობის სადავეების დაბრუნება დასავლეთთან ვასალური დამოკიდებულების გზით. იგივე უნდათ ბრიუსელის მაღალჩინოსნებსაც, ხოლო როდესაც მათ საქართველო „ეურჩება“, იყენებენ ნებისმიერ საბაბს: „რუსულ კანონს“ თუ „გაჟონილ არჩევნებს“. ახლა რუსთაველზე მიმდინარეობს ბრძოლა საკუთარი ინტერესებისთვის, მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერს ეკონომიკა და ბიზნესი გადაწონის.

- თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ.

- ახლახან, აპრილის დასაწყისში, ჩვენი პარტნიორი ქვეყნის ლიდერმა ალიევმა ხმამაღლა განაცხადა: „ევროპის 12 ქვეყანას ვაწვდით ენერგომატარებლებს საქართველოს გავლით, რომლის ენერგეტიკასა და სატრანსპორტო სისტემაში დიდი ინვესტიციები ჩავდეთ. აქედან გამომდინარე, საქართველოს იგნორირება პირადად ჩემთვის მიუღებელია“. ამით ყველაფერია ნათქვამი: ვფიქრობ, ევროკრატიაში საბოლოოდ გაიმარჯვებს პრაგმატული აზროვნება და მიხვდებიან, რომ ქვეყნის მმართველი წრეების დამორჩილებისთვის იდეოლოგიურ ბრძოლას არანაირი შედეგი არ მოჰყვება. საბოლოოდ ხომ ევროპამ უნდა მიიღოს აქედან წასული ტვირთები, ელექტროენერგია, გაზი, ნავთობი და სხვა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ჭიდილი ევროპასა და აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას შორის. სასწორზეა რუსეთ-უკრაინის ომი და გავლენის სფეროების მოპოვება მსოფლიოში, მათ შორის, კავკასიაშიც.. ამ დერეფნით იხეირებს ევროპის ქვეყნები, რომელთა წარმომადგენლებიც სხედან ახლა ევროპარლამენტში. ასე რომ, საბოლოოდ, ბრიუსელს მოუწევს საკუთარი ამომრჩევლების სარფიანი ბიზნესების წინა პლანზე დაყენება საქართველოში არარსებული პრობლემების ძიების სანაცვლოდ.

- „ქართულმა ოცნებამ“ „ნაცმოძრაობის“ გაუქმება გადადო და თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა. რითი ახსნით ამ გადაწყვეტილებას, უკან დაიხიეს თუ?..

- მე ვერ ვხედავ ვერავითარ „გადადებას“. პარლამენტის საგამოძიებო კომისიის დასკვნის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოსა და პროკურატურაში შევა სარჩელები სათანადო რეაგირებისთვის. მამუკა მდინარაძემ გარკვევით თქვა, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება არჩევნებამდე მიღებული იქნება, მაგრამ რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს აღარ აქვს ძველი ნაცნობ-ტარიუსული ფუნქცია, ორიოდ დღეში ვერ გადაწყვეტს ამა თუ იმ პარტიის გაუქმებას, თავისთავად, გარკვეული ვადა სჭირდება. შესაბამისად, კალენდარულად 4 ოქტომბრამდე, ოფიციალური უფლება აქვს ყველა პარტიას, თანაბრად ჩაერთოს არჩევნებში, თუკი არ დაიწყებენ ბოიკოტირებას. ასე რომ, პარტიის აკრძალვა პოლიტიკურად კი არა, სამართლებრივად გადაიდება.

- თუკი იმ პარტიის წევრებს აირჩევენ საკრებულოებში, რომელსაც შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლო აკრძალავს, ხალხის რჩეულებს რა გზა რჩებათ?

- წავაწყდებით სამართლებრივად ჩახლართულ პრობლემას. აქ რჩება ორი გზა, პიროვნება ან სხვა პარტიაში გადავა, ან დამოუკიდებელ დეპუტატად დარჩება, თუკი არ დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ცხადია, პარტიის გარეთ დარჩენილი პოლიტიკოსები იზრუნებენ ახალი პარტიის იურიდიულად გაფორმებაზე, რომელიც იფუნქციონირებს კრიმინალების გარეშე.

- ამ კვირაში თვალშისაცემი იყო „ისრების გადატანა“ გახარიაზე როგორც „ოცნების“, ასევე, ოპოზიციის მიერ. თქვენი შეფასებით, რას აპირებს ყოფილი პრემიერი?

- გიორგი გახარია თავად ვერ გარკვეულა, რომელ სიბრტყეში უნდა იმყოფებოდეს. მას აქვს ილუზია, რომ არის ალტერნატიული ძალა. მან უარი არ თქვა არც საპარლამენტო მანდატებზე და არც დაფინანსებაზე, რაც მიუთითებს, რომ შეგნებულად წელავს დროს მაისის რომელიმე კონკრეტულ თარიღამდე, რათა შევიდეს პარლამენტში რაღაც მოტივაციით. ერთ-ერთ ტელეეთერში მან განაცხადა, რომ მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ხოლო შემდეგ მისმა თანაგუნდელებმა ამ ნათქვამის უტრირება მოახდინეს, თითქოს არასწორად გაიგო მაყურებელმა. მოკლედ რომ ვთქვათ, თავად არ იცის, რა უნდა. თუკი მანდატები ჩაუხსნეს, მის პარტიას მოეხსნება სახელმწიფო დაფინანსება, ვერც აქტივისტებს გადაუხდის და ვერც ოფისებს იქირავებს. გაქრება, როგორც პოლიტიკური ძალა. ისიც გავიხსენოთ, როგორ აკრიტიკებდა ოპოზიცია ეუთოს გენერალური მდივნის თბილისში ვიზიტს, გახარია კი მას შეხვდა, შემდეგ - სხვებიც, ანუ აქაც გაუგებრობაა... საერთოდ კი, თუ ბოიკოტი გამოუცხადეს და არ ცნობენ ჩვენს არჩევნებს არც ოპოზიცია და არც ევროპარლამენტი, მაშინ რატომ მონაწილეობენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ფორმატში? ეს ხომ ალოგიკურია?

- რა ბედი ელის სალომე ზურაბიშვილის ეგიდით შექმნილ „ერთობის“ პლატფორმას?

- მართლაც ტრაგიკომიკური სიბერე შეიქმნა სალომე ზურაბიშვილმა, ამჟამად თვითმარქვია პრეზიდენტმა. ორბელიანის სასახლიდან საპრეზიდენტო დროშები წააყოლა ხელს, რასაც ქურდობა ჰქვია. ხალხი ხუმრობს, კიდევ კარგი, ჟანა დ'არკად არ აცხადებს საკუთარ პერსონასო. ამ ასაკოვანმა ქალმა ასეთ სიტუაციაში რატომ ჩაიგდო თავი, არ მესმის. თავად ოპოზიციაც თვითმარქვიად მოიხსენიებს მის მიერ ლიდერობის მცდელობას საქართველოს ოპოზიციურ ველზე. ეს ყველაფერი აბსურდული მოცემულობაა. კარგი არ არის დემოკრატიისთვის, როდესაც ოპოზიცია ასეთი უპრინციპო, უსუსური და არათანმიმდევრულია.

- რა პერსპექტივები აქვს საქართველოს ეკონომიკას მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის ფონზე და, საერთოდ, შეიძლება თუ არა ვუწოდოთ პოლიტიკური კრიზისი არსებულ სიტუაციას?

იხ. მე-9 გვ.

> *„თუ ჩვენი ქვეყანა ეგრეთ წოდებულ იზოლაციაშია, მაშინ რატომ დაიწყო ესტაფეტა აშშ-ის ელჩმა მაკა ბოჭორიშვილთან შეხვედრით, ახლაც ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი და ეროვნული ბანკის ლიდერი ჩაერთნენ ვაშინგტონში ამერიკელ კოლეგებთან მოლაპარაკებებში. როდესაც ვიღაცის იგნორირება გინდა პირად ურთიერთობაში, პოლიტიკურ სიბრტყეში თუ ბიზნესსივრცეში, არანაირ შეხვედრებს არ აწყობ, ფოტოებს მედიაში არ ავრცელებ და მრავალსაათიან მოლაპარაკებებს არ აწარმოებ*

სათქმელი – ბათუმს

3 და 4 მაისს ბათუმის მერია „ბათუმობა-2025“-ზე გვეპატიჟება. ბათუმი ბევრისთვის ძალიან საყვარელი ქალაქია. ზღვა, მზე და, ხშირად, წვიმაც, ძველი და ახალი უბნები, ისტორიული პორტი, ზღვისპირა ბულვარი თუ ბოტანიკური ბაღი და, რა თქმა უნდა, ადამიანები ამ ქალაქს ნამდვილად გამორჩეულს ხდის. დღევანდელი ჩვენი რესპონდენტები სწორედ ბათუმზე გვესაუბრებიან და მასთან დაკავშირებულ ემოციებს გვიზიარებენ.

ქეთი დოლიძე, რეჟისორი:

- ბათუმი ჩემი ბავშვობა და სიყვარულია. ბებია-ბაბუა მახინჯაურში ცხოვრობდნენ და მთელი ბავშვობა, ახალგაზრდობა ბათუმში მაქვს გატარებული. პირველი ეკლესია ხულოში ბაბუაჩემმა - ბესარიონ დოლიძემ ააშენა და გახსნა. განგებამ ინება და მეუღლეც - კოკა ბზიავაც ბათუმელი გახლდათ. დახვეწილი, განათლებული, ტოლერანტული, ინტერნაციონალური, სტუმართმოყვარე, კეთილი ხალხით დასახლებული - აი, ესაა ბათუმი. რადგან ბათუმში ვცხოვრობ კიდეც ხშირად, ის ჩემი მშობლიური ქალაქია.

გიორგი კეკელიძე, მწერალი:

- არის ხალხი, ვისაც ბათუმი უყვარს. ბევრია ასეთი, მაგრამ მათგან უფრო მეტს ბათუმი უყვარს წვიმის გარეშე და ცოტას - წვიმით. მე სიყვარული ასე ვისწავლე: თუ ვინმე ან რამე შემიყვარდა, მიყვარს ისეთი, როგორსაც ვხედავ და ვიმახსოვრებ. ბოდიში - გალაკტიონს და... „მე შენში მიყვარს ოცნება ჩემის“ მომხიბვლელ ამბავს - მე ბათუმი მიყვარს წვიმიანი, რადგან რაც ვიცი, ბათუმში უფრო წვიმაა, ვიდრე მზე. წეღან გამეღვიძა და ფანჯრიდან რაც ჩანს, არის ლამპიონი, ლამპიონის შუქს წვიმის კაბა აცვია და ვიცი - თუ ბათუმში ღამით ფანჯრიდან გაიხედავ და ლამპიონს დაინახავ, აუცილებელია, ხედავდე წვიმას. ეს არის აქაური შუაღამის საზეპირო. სხვანაირად არ გამოდის. სხვანაირი ბათუმი ჯადოსნობას კარგავს.

ბესო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:

- საქართველოს ერთ-ერთ ლამაზ ქალაქ ბათუმზე მხოლოდ პოზიტიური მოგონებები მაქვს. ის ჩემთვის მხოლოდ ზაფხულის - არა, ოთხივე სეზონის ქალაქია და ვფიქრობ, ყველა სეზონზე ულამაზესია. ჩემთვის ბათუმი ბავშვობასთან, ყმაწვილკაცობასა და იმ მოგონებებთან ასოცირდება, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე გამყვება. ბათუმი, სილამაზესთან ერთად, კულტურასთან ასოცირდება და, როგორც კულტურის ჟურნალისტს, ხშირად მიწევს მასთან ურთიერთობა. ამ ქალაქთან უამრავი მეგობარი მაკავშირებს, ვისთან ერთადაც დღემდე მოვდივარ. დღეს ხელოვნების და კულტურის მოღვაწეები, ის ბათუმელი დიდი ხელოვანები, რომლებთანაც ვმეგობრობ, ჩემთვის ამ ქალაქის სახე არიან. მათ უყვართ საკუთარი ქალაქი და ეტრფიან, ყოველთვის, ყველგან იცავენ ქართულს. ბათუმი და ბათუმელები ყოველთვის იბრძოდნენ და იბრძვიან ქვეყნის კულტურის ამაღლებისთვის და ეს იგრძნობა მათივე გადადგმულ ყველა ნაბიჯში.

ლია აბულაძე, მსახიობი:

- ბათუმი ჩემი სიყვარულია. მაგნოლიების, ყავისა და ზღვის სურნელით, მოუსვენარი, შხაპუნაწვიმიანი, ხმაურიანი, თბილი, მშობლიური, რომელიც მანიჭებს სულის სიმშვიდეს. ორი დღითაც რომ გავდივარ ქალაქიდან, უსაზღვროდ მენატრება. ვერ წარმომიდგენია სხვა ქალაქში ცხოვრება და ბედნიერი ვარ, რომ აქ დავიბადე. ბათუმი ხომ სიყვარულისა და თავისუფლების ქალაქია.

ზურა ხაჩიძე, მომღერალი:

- ბათუმი ჩემთვის აჭარის გულია. ამ ქალაქში უამრავი ლამაზი, ძველი შენობაა. სამწუხაროდ, თანამედროვე შენობებმა ბათუმის ძველი იერსახე ცოტა დაჩრდილა, მაგრამ ახალ არქიტექტურულ შენობებსაც თავისი სილამაზე აქვს. მე განსაკუთრებით ძველი ბათუმი - ლამაზი, დაბალი სახლებით მომწონს. ასევე, ბათუმი ჩემთვის ურთიერთობის, შეხვედრის, სიყვარულის, მეგობრობისა და დასვენების ადგილია. ჩვენი კონცერტების უმრავლესობა ბათუმში გვაქვს ჩატარებული და ეს ქალაქი საქართველოში საუკეთესო ადგილია, სადაც მსმენელს ჩვენი შემოქმედებით სიყვარულს ვუზიარებთ. მინდა, ამ ქალაქს მთელი გულით ვუსურვო წარმატება და უფრო მეტი განვითარება.

თამარ მაჟაშვილი, მსახიობი:

- ბათუმი ჩემთვის, გარდა მზის, ზღვისა და სიყვარულისა, განწყობა და ხასიათია. არ შეიძლება, ცხოვრობდე ბათუმში და ასეთი საოცარი შეგრძნებები არ გქონდეს. ჩემთვის ამ ქალაქში გატარებული ყოველი დღე არის მოგონებაზე, სიყვარულზე, სიხარულზე აწყობილი და, რასაკვირველია, ბათუმელებზე, რომელთა უმეტესობაც ცისფერთვალებაა.

ქეთევან მანელიშვილი, ქორმაისტერი:

- ბათუმის ხსენებისთანავე გულში სითბო მეღვრება. ის ჩემთვის არის სიხარული, სიყვარული, ოჯახი, შვილიშვილები, ახალგაზრდობა და ყმაწვილქალობა. ბათუმთან ასოცირდება თბილი და ტკბილი წლები. განსაკუთრებული სიყვარული მაქვს ბათუმური იტალიური ეზოების მიმართ - როცა გავთხოვდი, ერთი პერიოდი იტალიურ ეზოში ვცხოვრობდი და დღემდე მაქვს შენარჩუნებული ის ემოციები, რაც ასეთ ეზოებში ცხოვრებას თან ახლავს. ასევე, ბათუმი ჩემთვის არის ის სურათები, რომლებსაც ჩვენი უნიჭიერესი მხატვრები ხატავენ - ზღვა და სივრცე. ეს ქალაქი ამქვეყნად ყოფნას მიხანგრძლივებს. მიყვარხართ!

თამარ ლამპარაძე

ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს

„ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის კიდევ ერთი წარმატებული ქვეპროგრამაა, რომელიც ახალშობილებში აუდიოლოგიური პათოლოგიის ადრეულ აღმოჩენას, პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისთვის სარეაბილიტაციო კურსის ჩატარებასა და ტრენინგებით მშობელთა ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს. მისი ბიუჯეტი 4 444 000 ლარია

- ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია დაავადებათა ადრეულ ასაკში აღმოჩენა (სკრინინგი - თანდაყოლილი პათოლოგიების შემთხვევაში), ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდების გზით შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების გამოვლენა, პროგრამაში ჩართვა და სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდება, ბავშვების განვითარების სტიმულირება. აქედან გამომდინარე, შემუშავდა ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია-რეაბილიტაციის ქვეპროგრამა, - გვითხრა მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პოლიტიკის განყოფილების უფროსმა მარინა რუხაძემ.

მერიის ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ბათუმში რეგისტრირებულ მოქალაქეებს. გათვალისწინებულია შემდეგი სახის მომსახურება: ბათუმში დაბადებულ ახალშობილებს ჩაუტარდებათ სმენის მეორადი სკრინინგული გამოკვლევა, 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის გათვალისწინებულია რეაბილიტაცია მულტიდისციპლინური გუნდის ერთი ან, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვ.) მიერ, სმენის დარღვევების მქონე 2-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის - ფსიქოლოგისა და ლოგოპედის მომსახურება, აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით პირებისათვის - გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა (საშუალოდ 20 გაკვეთილი თვის განმავლობაში), ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის - მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსი (15 სამკურნალო მასაჟი, 15 ფიზიოპროცედურა, კალციუმის შემცველი მედიკამენტები).

როგორც მერიაში გვითხრეს, ქვეპროგრამით ისარგებლებენ 2025 წლის 1 იანვრამდე ბათუმში რეგისტრირებული პირები. ზოგიერთ ქვეპროგრამაში ჩართვა 2024 წლის თებერვალ-დეკემბერში რეგისტრირებულებისთვისაც იქნება შესაძლებელი, ასევე, 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებულ 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვები.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები იქნებიან ბათუმში 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტირებული 7 წლამდე ასაკის შემდეგი პათოლოგიის მქონე ბავშვები: დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი და სხვა. აღნიშნული მომსახურება გაეწევათ იმ ბავშვებს, რომლებიც ვერ სარგებლობენ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით. ყოველთვიურად, სპეციალისტთა გუნდის ერთი ან რამდენიმე პროფესიონალის (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მომსახურების მიზანია ბავშვის განვითარების სფეროების (ფიზიკური, კოგნიტური, სოციალური, ემოციური, კომუნიკაცია, ადაპტური ქცევა) სტიმულირება, მშობელთა ცნობიერების და ინფორმირებულობის გაზრდა, მხარდაჭერა, ბავშვის განვითარების პროცესში ჩართვა-/განათლება. საჭირო პროფესიონალების ჩართულობა და ინტენსივობა განისაზღვრება შეფასებიდან გამომდინარე და ასახულია ბავშვისა და ოჯახის ინდივიდუალურ გეგმაში. 5 წლის შესრულების თვის ჩათვლით მომსახურებაში ჩართული ყველა ბენეფიციარისათვის, დაფინანსებული მომსახურების (ვიზიტის) მაქსიმალური რაოდენობა თვეში შეადგენს 8-ს. 5-დან 7 წლის შესრულების თვის ჩათვლით ბენეფიციარებისთვის მომსახურებაში ჩართვიდან (დაწყებიდან) ერთი წლის (თორმეტი თვის) განმავლობაში, დაფინანსებული მომსახურების (ვიზიტის) მაქსიმალური რაოდენობა თვეში შეადგენს ასევე 8-ს, მომსახურებაში ჩართვიდან (დაწყებიდან) მეორე წლის (შემდეგი თორმეტი თვის) განმავლობაში - 6-ს. ამასთან, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები ვრცელდება ამ პროგრამის ამოქმედებამდე, წინა წლებში მომსახურებაში ჩართულ ბენეფიციარებზეც, R62.0 (განვითარების ეტაპების დაყოვნება) დიაგნოზის შემთხვევაში სრულად დაფინანსდებიან: 1. შშმ სტატუსის მქონე ბავშვები; 2. რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვები; 3. მინდობით აღზრდაში ან საალმზრდელო დაწესებულებაში მყოფი ბავშვები, თუკი ამ დაწესებულების მიერ არ ხდება ამ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება; 4. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის შვილები; 5. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შვილები; 6. შშმ სტატუსის მქონე პირის შვილები; 7. ბავშვები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით; 8. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში; 9. მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვები (ოთხი და/ან მეტი არასრულწლოვანი ბავშვი), ხოლო სხვა კატეგორიის ბენეფიციარები ისარგებლებენ 50-პროცენტიანი თანაგადახდის სერვისით.

„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ ღონისძიების მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0-F84.9) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით 2025 წლის 1 იანვრამდე ბათუმში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები.

მარინა რუხაძის განცხადებით, ბათუმში რეგისტრირებული, 7 წლამდე ასაკის, განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება და აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია ვაუჩერული პრინციპით დაფინანსდება.

მანანა ტაკიძე

ზღვის დაბინძურების ფაქტები გამოვლინდა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წელს უცხო ქვეყნის დროშით მცურავი გემების მიერ ზღვის დაბინძურების 4 ფაქტია გამოვლენილი, შარშან კი უცხო ქვეყნის დროშით მცურავი გემების მიერ შავი ზღვის დაბინძურების 16 ფაქტი გამოვლინდა

უწყების ინფორმაციით, გემიდან, სხვა მცურავი საშუალებებიდან, პლატფორმიდან, მილსადენებიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში მავნე, დამაბინძურებელი ნივთიერებების, საწარმოო, ტექნიკური ან სხვა სახის ნარჩენების ან/და მასალის ჩაღვრა (ჩაყრა, ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურებაზე ჯარიმა 100 000 ლარია, რასაც გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხაც ემატება.

„ლირიკული ლექსები მიყვარს, მოკლე, აზრიანი და მუსიკალური“

*პოეტი **იამზე ბერიძე** შუახევის რაიონის სოფელ ტბეთშია დაბადებული. მკითხველმა 20 წლის წინათ გაიცნო კრებულში „მზის გვირილები“ შეტანილი მისი ლექსები. შემდეგ მისი ავტორობით გამოიცა ლექსების კრებულები „თეთრი გედი“, „თოვლის გუნდასავით“, „ლექსი ტოროლას რომ შევადარე“, „სინათლისაკენ გზას ვიკვლევ, როგორც ხეობის შროშანი“. მას შუახევში გამართული პოეზიის საღამოს შემდეგ ვესაუბრეთ.*

- ქალბატონო იამზე, წლებია, ბათუმში ცხოვრობთ და საქმიანობთ. რა ხილული და უხილავი ძაფები გაკავშირებთ მშობლიურ შუახევთან?

- ხალხურ შემოქმედებაში არის ლამაზი სიმღერა „ხევ-ხევ თებრონეზე“... მე მშობლიური კუთხის - შუახევის სიყვარულის გამო შევადარე თავი სინათლისაკენ გზამკვლევ ხეობის შროშანს. „ხევ-ხევ იამზეს“ ვეძახი ხუმრობით საკუთარ თავს.

- ეს განშორება მნიშვნელოვნად შეავსო შუახევში გამართულმა პოეზიის საღამომ, სადაც საზოგადოება კიდევ ერთხელ ეზიარა თქვენს შემოქმედებას...

- შუახევში გამართული პოეზიის საღამო კარგი იყო. თითქოს სამოთხეში ვიყავი. გავიცანი კარგი ადამიანები და სულიერად კიდევ უფრო გავმდიდრდი.

- სოფელი და ქალაქი, მხიარული ბავშვობა და ღირებულებათა გადაფასების წლები, დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი ქვეყანა... ეს ყველაფერი როგორ აისახება თქვენს შემოქმედებაში?

- სოფელი და ქალაქი ჩემთვის განსხვავებული არ არის, სადაც წავალ, ყველგან მიმყვება ჩემი პარიზი. პოეზიაში ამ სამყაროს მოიხსენიებენ, როგორც სოფელს. ზღვა და ბათუმი ძალიან მიყვარს. ჩემს პოეზიაში ეს კარგად არის ასახული. ილია ჭავჭავაძე გვასწავლის, რომ განათლება ყველაზე ძლიერი იარაღია. აინშტაინი წერს: „გაუნათლებლობა რა მაგარი რამეა - ყველაფერი იცი“. სოკრატე ამბობს: „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი“. თუ მსოფლიო საზოგადოება წიგნს დაუბრუნდება, ყველაფერი კარგად იქნება. ისევ სოკრატეს დავესესხები: „,გონება გაწვრთნილს ძალადობა არა სჭირდება, ძალდატანებას იგი მიმართავს, ვისაც ღონე ერჩის და ჭკუა აკლია“. აქვე გავიხსენებ ჯორდანო ბრუნოს ნათქვამს: „წვეთი ქვას ხეთქავს, ძალით კი არა, ხშირი დაცემით, კაციც ბრძენდება, ძალით კი არა, არამედ კითხვით, ბრძენთა ნაწერით“... ეს ყველაფერი, რაც ვთქვი, ჩემს ლექსებში კარგად ჩანს. ლირიკული ლექსები მიყვარს, რიმიანი, მოკლე, აზრიანი და მუსიკალური... ერთი სიტყვით: „პოეზია, უპირველეს ყოვლისა“.

- დედა და ლექსი თქვენს შემოქმედებაში ერთად „მოგზაურობენ“...

- „დედაშვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს?“... მე და დედა ერთად ვართ პოეზიაშიც და ცხოვრებაშიც. „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო“ - დამასწრო თქმა გოგლა ლეონიძემ.

- როდის გაკითხავთ მუზა?

- უმეტესად, ღამით. მუზა დილის საათებშიც მოდის, მაგრამ ვაიძულებ, ღამემდე დამელოდოს. სიმშვიდეში კარგად ვწერ.

- ლექსი, რომელსაც თქვენი შემოქმედების მარგალიტად მიიჩნევთ.

- მრავალი ლექსია ჩემს შემოქმედებაში სამარგალიტო. მათზე სხვები იტყვიან. მე ვიტყვი: „დაკონკილი ჩარლი“. აქვე მინდა ვთქვა, არ მომწონს ლექსის გაკრიტიკება.

- ქართველი პოეტი, რომელსაც გზამკვლევად მიიჩნევთ.

- გზამკვლევ პოეტს ვერ დაგისახელებთ. კარგად ვიცი ქართული პოეზია, მსოფლიო პოეზია, იაპონურიც კი... და ვცდილობ, ჩემი გზა მქონდეს, არაფერი გავიმეორო. თითქოს მთელი პოეზიის დასკვნასაც ვაკეთებ.

- თუ გქონიათ შემოქმედებაში ტაიმ-აუტი?

- რთული ცხოვრება გამოვიარე. ნათქვამია: „ერთმა სულელმა ზღვაში მარგალიტი რომ გადაგდოს, ასი ჭკვიანი ვერ ამოიღებსო“. წერისა და კითხვისთვის თავი არ დამინებებია.

- გყავდათ კარგი მეგობარი, რომელმაც გული დაგწყვიტათ. მიტევება რომ გთხოვოს, მიუტევებთ?

- მყავდა და ახლაც მყავს კარგი მეგობრები. მათ ჩემთვის არ უღალატიათ. ნათლის ესთეტიკა ქართულ მწერლობაში „შუშანიკის წამებიდან“ მოდის: „მან განაბრწყინა და გააშვენიერა ყოველი იგი ციხეი სულიერითა მის ქნარითა“... ადამიანებით დასახლებულ სამყაროს ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეკატეოს მილოსელმა უწოდა ოიკუმენე. „აბოს წამების“ მიხედვით ქართლი ოიკუმენეს დასასრულია. გრიგოლ ხანძთელთან: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღევლინებოს“... როგორი ჰუმანიზმია „ვეფხისტყაოსანში“... როგორი ჰუმანიზმია პეტრარკასთან... დანტე ალიგიერთან... ავიღოთ ათი მცნება ბიბლიიდან და მთლიანად ბიბლია, თუნდაც ყურანი... მე მივუტევებ, ღმერთი თუ მიუტევებს, მაგრამ ეს მიტევება ასეთი იქნება: გავჩუმდები და დავუთმობ.

- თქვენს წარმატებას დედის გენს უმადლით თუ მამის?

- ორივე მხრიდან კარგი გენეტიკა მაქვს. განათლებული, პატიოსანი, კეთილი მშობლები მყავს. მამა კარგად კითხულობდა ლექსებს, **რომ დავობადე, „მერანი“ ვიცოდი...**

- მკითხველი და თქვენ.

- მე კარგი მკითხველი ვარ და, ასევე, მჭირდება კარგი მკითხველი.

- რომელი რჩევა მოგყვათ დღემდე?

- იოსებ ნონეშვილის რჩევა-დარიგება და ყოველთვის მემახსოვრება:

ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,
თურმე ესეც გმირობაა დიდი.

- ლექსი თუ ოჯახი?..

- ოჯახიც მექნებოდა და ლექსიც. დიდი გული მაქვს. ძლიერი ვარ და ყველანაირი საქმე შემიძლია, მაგრამ მავანმა მაინც მაჯობა. არაუშავს... ნახევარი ცხოვრება გავიარე უკვე. „არც ხელი და არც ფეხი არ გამისვრია“... რაც კარგი ადამიანი იყო, ღმერთმა ჩემთვის გაიმეტა. სულიერად ძალიან მდიდარი ვარ, მატერიალურად არაფერი გამაჩნია, თუმცა არავის გააჩნია, რადგან დედამიწის ქონება ისევ დედამიწაზე დარჩება. ჰაფიზმა დაწერა ასეთი ლექსი:

ამ ლამაზმა შირაზელმა
თუ განკურნა ჩემი დარდი,
მზად ვარ, იმის ვალში მივცე
ბუხარა და სამარყანდი...

თემურ ლენგი მივიდა ჰაფიზთან და უთხრა: ბუხარა და სამარყანდი რომ დამეპყრო, ბევრი ვიბრძოლე და შენ ვინ ხარ, რომ ლამაზი ქალის ვალში აძლევ ამ ქალაქებსო? ჰაფიზმა ძონძები გამოუტანა და უთხრა, ასეთი ხელგაშლილი რომ ვარ, იმიტომ გავღარიბდი ასეო... მეც ჰაფიზივით კეთილშობილების და ღირსების გამო დავრჩი ძონძებში.

- რაა მთავარი, დაგვიანებული რომ აანაზღაურო?

- დაგვიანებული რომ ავანაზღაურო, ათი წლით მაინც უნდა დავბრუნდე უკან.

- თქვენზე ამბობენ, ტყუილი არ უყვარსო. მწარედ როდის მოგატყუეს?

- ტყუილი არ მიყვარს და იმიტომ დავწერე „დაკონკილი ჩარლი“. მე ვერავინ მომატყუებს, მაგრამ ციხე შიგნიდან ტყდება.

- ჭორს როგორ ეგუებით?

- არ მაინტერესებს. ეჭვს და ჭორს ერთნაირად ვუდგები. აქაც სოკრატეს ნათქვამს გავიმეორებ: „ამქვეყნად ყველა საეჭველია, უეჭველია მხოლოდ ეჭვი“... ესე იგი და ეჭვი და ჭორი არ არსებობს, მოგონილია.

- დაბოლოს, პროზასთან შეჭიდება თუ სცადეთ?

- პროზას ბევრი დრო სჭირდება. პოეზია პროზაზე ნაკლები არაა. პოეზიაში დავრჩები, ალბათ. ცოტა დავიღალე, თორემ რომანის დაწერაც შემიძლია. მადლობას გიხდით, ბატონო ოთარ, ჩემთან საუბრისთვის და გემშვიდობებით ჰაფიზის სიტყვებით:

ჭეშმარიტებას ახადე ფარდა,
ნახე საუნჯე იდუმალ კართა,
ამქვეყნად ყველა წარმავალია,
კეთილშობილურ საქმეთა გარდა...

მხოლოდ ხელოვანს ვერ ეწევა სიკვდილი

„განდაგანის“ უბადლო შემსრულებელი იყო ხაბელაშვილებელი მუხამედ ართმელაძე, სიმღერისა და ცეკვის საკუთარი ხელწერა ჰქონდა დაბა შუახევის მკვიდრ ალიოსმან დავითაძეს, წლების განმავლობაში სცენაზე იდგა აწ განსვენებული რეზო ცეცხლაძე, ხელოვნების სადარაჯოზე დგანან მახალაკიძეებელი ბადრი, ავთანდილ დარჩიძეები, ნაღვარეველი ხასან ხილაძე, გოგინაურელი ნოდარ გოგიტიძე

ხელოვნება არ კვდება, იგი თაობიდან თაობას გადაეცემა. სამაგალითო და სამზეოზე გამოსატანია, როცა ხელოვნების მსახურება ოჯახურ ტრადიციად იქცევა. მრავალი გულშემატკივარი და შემფასებელი ჰყავს მუხამედ ართმელაძის შვილ რამაზ ართმელაძეს. სასიხარულოა, რომ ბაბუის ილეთებს აცოცხლებს და სცენაზე გამოაქვს შვილიშვილ მირზა ართმელაძეს. ალიოსმან დავითაძის შვილები ნოდარი და ზაური ცეკვა-სიმღერის ოსტატები არიან - ნოდარი შუახევის კულტურის სახლთან არსებულ უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესვების“ მოცეკვავეა, ხოლო ზაური - ამავე ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „შუახევის“ მომღერალი, ნოდარის ვაჟი გიორგი კი ანსამბლ „ზე-კართან“ მოცეკვავეა. რეზო ცეცხლაძის ვაჟი ხვიჩა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრი იყო. მისი ქალიშვილი ნია ცეცხლაძე, როგორც „განდაგანის“ ნიჭიერი შემსრულებელი, სატელევიზიო გადაცემა „პატარების დიდი შოუს“ მონაწილეა და მაყურებლის დიდ სიმპათიას იმსახურებს.

მწერალი, შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე ვახტანგ გოგრაჭაძე უკვე რამდენიმე სიახლის მოთავედ გვევლინება. მისი იდეით, შუახევის კულტურის ცენტრის ორგანიზებითა და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სათავე დაედო ფესტივალ „შვილიშვილებს“. ამ სიახლის პირველი მონაწილენი იმ ოცამდე ხელოვანის შვილიშვილები არიან, რომელთა როლი და ადგილი შუახევის რაიონის ხელოვნების ისტორიაში ფასდაუდებელია. სალომე დიასამიძე, მირზა ართმელაძე, ელენა, მილენა, დიანა, მარი, დემეტრე დარჩიძეები, გელა მაკარაძე, მერაბ ხილაძე, ზაურ და მარი ქარცივაძეები, ედიშერ და თიკო ფუტკარაძეები, ნია ცეცხლაძე, რაულ, ნოდარ და ყუჟუნა გოგიტიძეები, ანუკი ნაკაშიძე, გიორგი ხილაძე, ლუკა ბერიძე, საბა და ბექა ბოლქვაძეები, ლაშა ბოლქვაძე, გიორგი და ნიკა დავითაძეები, მინდია მიქელაძე და გიორგი გოგიტიძე, დიეგო და ბარბარე დარჩიძეები, მუხრან, ზურა და სულხან დარჩიძეები, ნუკრი, ნატა, ნიკა და ედუარდ ნაკაიძეები ფესტივალის ფორმატით პირველად წარსდგნენ მაყურებლის წინაშე.

ფესტივალის ორგანიზატორმა ვახტანგ გოგრაჭაძემ მოკლედ მიმოიხილა ის მიღწევები, რაც ბოლო წლებში კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციის მიმართულებით კეთდება. ისიც მიანიშნა, რომ ამ წამოწყებამ მომავალში მეტი დატვირთვა უნდა შეიძინოს. ფესტივალის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, აჭარის კულტურის სამინისტროს ფოლკლორის მიმართულების ხელმძღვანელი მადონა თევზაძე და სხვები. ცეკვა, სიმღერა, მხატვრული კითხვა, იუმორი ფესტივალის ლაიტმოტივი იყო. ნორჩ შემსრულებლებს არც ბებია-ბაბუები ჩამორჩნენ. მაყურებელთა წინაშე პირველად წარსდგა ბუთურაულის სკოლასთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერცხალი“ (ქორეოგრაფი - ჯამბულ დავითაძე).

ღონისძიების დასრულების შემდეგ რამდენიმე მონაწილეს შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ.

ომარ ტაკიძე: - მამა დავით ტაკიძე წლების განმავლობაში სოფელ ნაღვარევში კულტურის ობიექტს ხელმძღვანელობდა. მისი და კიდევ რამდენიმე პიროვნების ჩართულობით აღადგინეს „ნაღვარეული ხორუმი“. პირველი სახალხო დღესასწაული „ნაღვარევობა“ რომ ჩავატარეთ, თანასოფლელებთან ერთად მეც ვიცეკვე. ასე იყო შარშანწინაც, როცა ტაკიძეების გვარის შეკრება იმავე ნაღვარევში გავმართეთ. ფესტივალი „შვილიშვილები“, უდავოდ, კარგი წამოწყებაა. მადლობა გვინდა ვუთხრათ იდეის ავტორს, თითოეულ მონაწილეს.

ვახტანგ გოგრაჭაძე: - ჩანაფიქრის განხორციელებას თითქმის წელიწადი მოვანდომეთ. 43 სოფელსა და რამდენიმე უბანში მივედი, შევხვდი იმ თაობის ადამიანებს, რომლებსაც თვითნასწავლ ხელოვანებთან ურთიერთობა ჰქონდათ. საკმაოდ ვრცელი მასალები დაგვიგროვდა. მრავალი ხელოვანის კერაზე აღარავინაა დარჩენილი, რაც გულსატკენია. ჩვენი მიზანი და ვალია, მათი ხელოვნება, რაღაც ფორმით, შემოვინახოთ. მომავალში იმ ტერიტორიებსაც მოვინახულებთ, სადაც შუახევიდან გადასული ხელოვანები ან მათი ახლობლები ცხოვრობენ.

ჯამბულ დავითაძე, ქორეოგრაფი: - დღევანდელი ოვაცია, სცენაზე ჩვენ მიერ გამოტანილი ადგილობრივი ფოლკლორის ნიმუშები მრავლისმეტყველია. ყველა კეთილ საქმეს თანამდგომი სჭირდება. ბუთურაულის საჯარო სკოლის დირექტორი, თითოეული პედაგოგი გვერდით დაგვიდგა, მათ მოსწავლეთა მშობლებმაც მიბაძეს. ფესტივალი „შვილიშვილები“ მომავალში უფრო მეტ დატვირთვას შეიძენს.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

„ზღვარზე“ – სპექტაკლი, საიდანაც ყველამ თავისი დარდი წაიღო

ბათუმის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენაზე სპექტაკლის „ზღვარზე“ პრემიერა შედგა. წარმოდგენა გუგა მგელაძის პიესის - „ფერფლისფერი ფანტელების უდაბნო“ - მიხედვით რეჟისორმა სალომე ჯიჯავაძემ დადგა. მხატვარი - დავით ტაკიძე, კომპოზიტორი - გიორგი ცეცხლაძე, ქორეოგრაფი - გიორგი გოგიშვილი, რეჟისორის თანაშემწე კი ნატო ღლონტი გახლავთ. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები დიანა ჩახუნაშვილი და ლევან თედორაძე

ეს დრამა წყვილის ურთიერთობაზე, პრობლემებზე, სიხარულზე, ემოციურ ცხოვრებისეულ მომენტებზეა აგებული. იგი გვიყვება გულწრფელი და ფაქიზი სიყვარულის შესახებ, რომელსაც ნაპრალები უჩნდება, მარტოობის შიშსა და იმედზე, რომელიც, შესაძლოა, ჯერ კიდევ არ გამქრალა.

საპრემიერო ჩვენებას აჭარის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, თეატრის მოყვარულები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენაზე მაყურებელი სპექტაკლის ნახვას, ასევე, 7, 8 და 29 მაისს შეძლებს.

- სპექტაკლი გვესაუბრება ცოლ-ქმრის 25-წლიან ურთიერთობაზე, ერთი მხრივ, თითქოს საზოგადოებისთვის ბანალურ და გაცვეთილ თემაზე, მაგრამ, ამავდროულად, იმ მოვლენებსა თუ ყოფაზე, რომელიც ბევრ ოჯახში გვხვდება და აქტუალობას არ კარგავს. ხალხი ჭრელია, ურთიერთობები - მრავალფეროვანი. პიესა მოგვითხრობს ორი პედაგოგის თანაცხოვრებაზე, ურთიერთობაზე, დიალოგის უუნარობაზე, 25 წლის განმავლობაში დაგროვილ სათქმელზე, რაც, რასაკვირველია, სიტუაციის მიხედვით, ერთ დღეს აუცილებლად ამოხეთქავს და წლების სათქმელს იტყვის წამებსა თუ წუთებში. ეს ვისთვის მწარე რეალობაა, ვისთვის - მაგალითი იმისა, რომ ურთიერთობას სჭირდება სწორად წარმართვა, რათა არ მივიდეთ ფატალურ შედეგამდე. თეატრი ის სივრცეა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ცოცხალი ადამიანების, მსახიობების სახით ვთქვათ და ვაჩვენოთ საზოგადოებას, რაც მისთვის ახლობელი და საჭიროა. პიესაზე დაახლოებით ერთი თვე ვმუშაობდით. მე და ჩემი გუნდი, დიდი შრომის ფასად, შევეცადეთ, მაყურებლისთვის სანახაობრივად, საინტერესოდ და მარტივად გვეჩვენებინა ორი ადამიანის თანაცხოვრების პერიპეტიები სცენაზე. საპრემიერო ჩვენებებმა წარმატებით ჩაიარა, მოჰყვა ბევრი გამოხმაურება, ემოცია თუ შეფასება. მადლობა - თითოეულ მაყურებელს! - გვითხრა რეჟისორმა სალომე ჯიჯავაძემ.

- არ იყო ადვილი იმის საკუთარ თავში გატარება, რაც ჩემს გმირს სტკიოდა, გამომდინარე იქიდან, რომ მე (დიანას) მასთან საერთო არაფერი მქონდა, მაგრამ ირგვლივ მსგავსი ტრავმებითა და ტკივილებით ბევრი ახლობელია და დაახლოებით ვიცი, როგორ სტკივათ ამ სიტუაციაში. პირადად მე, ჩემი გმირისგან განსხვავებით, სხვანაირად ვეცდებოდი ამ ტკივილთან გამკლავებას. ჩემი გმირი არაა იდეალური, ისიც, ისევე, როგორც, ალბათ, ბევრი სხვაც, უამრავი შეცდომითაა მოსული აქამდე, შეშინებული და სასოწარკვეთილია. საბედნიეროდ, რეჟისორმა - სალომე ჯიჯავაძემ ძალიან კარგად იცის, როგორ იმუშაოს არტისტებთან. ბოლომდე ჩაყავხარ იმ სიღრმეებში, საიდანაც უნდა შეიყვარო, გაუგო და მოირგო გმირის ხასიათიც, ტკივილიც, ჩვევებიცა და დამოკიდებულებებიც. ძალიან კმაყოფილი ვარ მასთან მუშაობით. ასეთ რეჟისორთან მსახიობი ყოველთვის შეძლებს მაყურებლის ყურადღების მოპოვებას. რაც შეეხება ლევანს, როგორც პარტნიორს, კომფორტულია მასთან თამაში. სხვაგვარად წარმოუდგენელია ორკაციანი სპექტაკლის „გამოცხობა“. რა შეიძლება ისწავლოს მაყურებელმა ამ სპექტაკლიდან? პირველ რიგში, ალბათ, საკუთარი ნაკლისა და შეცდომების გაანალიზება. უნდა შეძლოს ძველი ტრავმების გააზრება და მოინდომოს, გახდეს უკეთესი, გაითვალისწინოს ურთიერთობის ჯანსაღი მხარეები, შეძლოს შეცდომების აღიარება, მეტი დიალოგი, მეტი გულწრფელობა, ნაკლები კომპლექსები, ნაკლები თავგანწირვა და ილუზია. ძირითადად, დიალოგის ნაკლებობა, ტყუილი და შიში არის უბედურების, იმედგაცრუებისა და სასოწარკვეთის მიზეზი. ვეცადეთ, ეს ყველაფერი მიგვეტანა მაყურებელთან, რათა, პირველ რიგში, საკუთარი შიშების ანალიზი გაეკეთებინათ. პრემიერა, ვფიქრობ, შედგა. ბევრი თვალცრემლიანი მაყურებელი გავიდა იმ სურვილით - კიდევ უნდა ვნახო სპექტაკლიო. არაერთმა კოლეგამ დატოვა თეატრი მოლოცვისა და თითქმის ტაშის გარეშე, ყველამ თავისი დარდი წაიღო, - გვითხრა მსახიობმა დიანა ჩახუნაშვილმა.

- ნებისმიერი დაოჯახებული მამაკაცის ცხოვრებაში არის ეჭვიანობის სცენები. თავისუფლად შეიძლება, პირადი ცხოვრების რომელიმე პატარა სიუჟეტი სცენაზე გადმოტანო და სპექტაკლს მოარგო. ასე რომ, როლის გათავისება რთული არ ყოფილა. რაც შეეხება პარტნიორს, დიანა პროფესიონალი მსახიობია. ჩვენ არაერთ სპექტაკლში გვითამაშია ერთად. დრამატურგიულ ანი-ბანის იოლად მივაგენით, მგონი, ერთმანეთიც ვიგრძენით და თანაგრძნობაც შევძელით. ამ სპექტაკლის ნახვისას მაყურებელი უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ არ შეიძლება უსასრულოდ ითმინო ვიღაცის ან რაღაცის გულისთვის, რადგან ცხოვრება ხანმოკლეა, ცხოვრება ერთია, უცებ მოფრინდება და გაფრინდება... ჯობს, იყო ბედნიერი! თუ ახერხებ იმას, რომ ერთმანეთთან თანაცხოვრება ლამაზი ფერებით შეამკო, ხომ კარგი, თუ არადა, ჯობს, არ დატანჯო არც პარტნიორი და არც საკუთარი თავი. მაყურებელი აუცილებლად დაფიქრდებოდა იმაზე, საერთოდ ღირს თუ არა ურთიერთობაში პრობლემების და ყოველდღიურობის ტანჯვა-წამებით გადატანა, განუწყვეტლივ იმაზე ფიქრი, რომ ჩვენს რაღაც ნაბიჯებს ეჭვიანობა არ მოჰყვეს და ასე შემდეგ. პრემიერა შედგა, მაყურებელი კმაყოფილია. ჯერ საპრემიერო დღეებია, 7-8 მაისსაც ვთამაშობთ ამ სპექტაკლს, ალბათ, უფრო დაიხვეწება და მეტად მისაღები იქნება მაყურებლისთვის, - გვითხრა მსახიობმა ლევან თედორაძემ.

მარიამ ხითარიშვილი

ბათუმის თოჯინების თეატრი გასტროლით – ბულგარეთში

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი გასტროლით ბულგარეთში, ქალაქ იამბოლში იმყოფებოდა, სადაც ფესტივალზე, საპატიო სტუმრის სტატუსით, რეჟისორ ირაკლი კიკვაძის პირველი თოჯინური სპექტაკლი - ,,ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ წარმოადგინა და დიდი მოწონება დაიმსახურა. ფესტივალი 22 აპრილს გაიხსნა და 26-ში გამარჯვებულების დაჯილდოებით დასრულდა

ბათუმის თოჯინების თეატრს საერთაშორისო შემოქმედებითი ურთიერთობისა და ინტეგრაციისთვის იამბოლის მიხაილ ლკატნიკის სახელობის თოჯინების ეროვნული თეატრალური ფესტივალის სპეციალური დიპლომი გადაეცა.

ფესტივალში ბულგარეთისა და თურქეთის სხვადასხვა თეატრალური ჯგუფი, საქართველოდან კი ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი მონაწილეობდა, რომელიც, აჭარის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, გასტროლებს მომავალშიც გეგმავს.

- „საბავშვო თეატრების ფესტივალი“ ბულგარეთის ქალაქ იამბოლში გაიმართა. იგი ნაციონალური ფესტივალია, თუმცა აქვთ საერთაშორისო განყოფილებაც, სადაც სხვადასხვა ქვეყნის თეატრები მონაწილეობენ. აღსანიშნავია, რომ ეს ფესტივალი უკვე 24-ე სეზონს ითვლის და ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. საქართველოდან პირველი თეატრი ვიყავით, რომელმაც მასში მონაწილეობა მიიღო. წარვსდექით სპექტაკლით „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“, რომელსაც საკმაოდ კარგი შეფასებები მოჰყვა. რა თქმა უნდა, იყო ენის ბარიერიც, მაგრამ, მათი თქმით, ესოდენ გამომსახველობით დადგმაში ყველაფერი გასაგები იყო. მივხვდით, რომ ენის ბარიერი დავძლიეთ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და მაყურებელმაც სწორად მიიღო ჩვენი სპექტაკლი. გასტროლზე 6 დღე ვიმყოფებოდით, ვნახეთ როგორც იქაური, ასევე, სხვა ქვეყნების სპექტაკლები, მივიღეთ ბევრი ინფორმაცია, სამომავლო გეგმებისთვის კონტაქტებიც გავცვალეთ. მსგავსი ფესტივალები ჩვენი თეატრისთვის ყოველთვის დასამახსოვრებელი და შთაბეჭდილებებით სავსეა. ვფიქრობ, ჩვენი გასტროლი შედგა, ყველანი ჯანმრთელები დავუბრუნდით ჩვენს ქალაქს და ახალი გასტროლისთვის ვემზადებით, რომელიც ყაზახეთში გაიმართება. იქ უკვე წავიღებთ ჩემი და რეჟისორ ნიკა საბაშვილის სპექტაკლს „ოჯახი“. ეს უკვე საკონკურსო სპექტაკლია და ვფიქრობ, ღირსეულად წარვდგებით, - გვითხრა თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ.

მარიამ ხითარიშვილი

„ბათუმის თვითმმართველობის ისტორია“

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში ფოტოგამოფენა - ,,ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა“ გაიმართა

რა მოვლენები უძღოდა წინ თვითმმართველობის გამოცხადებას ბათუმში, როგორ ვითარდებოდა ქალაქი სტატუსის მინიჭების შემდეგ, რა როლი შეასრულა მან ბათუმის განვითარების საქმეში, ამ თემებზე ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის მმართველმა, პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ისაუბრა. ღონისძიებაზე დამსწრეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მუზეუმის ფონდში დაცული, აღნიშნული პერიოდის ამსახველი ფოტომასალა დაეთვალიერებინათ.

ცნობისთვის: 1870 წლის 16 ივნისის დებულების საფუძველზე, 1888 წლის 28 აპრილს გაიცა უმაღლესი განკარგულება ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღების შესახებ, საზეიმო გახსნა კი 1888 წლის 1 ოქტომბერს შედგა. ოთარ გოგოლიშვილის თქმით, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, გამორჩეული დღეა. ბათუმს მიენიჭა ქალაქის სტატუსი და დაიწყო ის დიდი აღმშენებლობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც დღემდე გრძელდება.

„ქალაქის თვითმმართველობის შემოღება ბათუმში უდავოდ იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელმაც სერიოზული გავლენა მოახდინა არა მარტო ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაზე. 1895 წელს მოეწყო ქალაქის თავის არჩევნები. კანდიდატურებს შორის გაიმარჯვა ლუკა ასათიანმა, რომელიც მანამდე 12 წლის განმავლობაში ქუთაისის თავი იყო. საყურადღებოა ისიც, რომ ლუკა ასათიანის კანდიდატურა ქალაქ ბათუმის თავად დიდმა ილია ჭავჭავაძემ დაასახელა. ლ. ასათიანი 1902 წლამდე უძღვებოდა ქ. ბათუმის სამეურნეო საქმეს და უმოკლეს ხანში ბათუმი გადააქცია ერთ-ერთ მოწინავე ეკონომიკურ-კულტურულ და საგანმანათლებლო ქალაქად.

1902 წლიდან ქალაქის თავის თანამდებობა ერგო ივანე ანდრონიკაშვილს, რომელიც 14 წლის განმავლობაში ემსახურა ქალაქის წინსვლასა და განვითარებას“, - გვითხრა ოთარ გოგოლიშვილმა. ისტორიკოსი ამის შესახებ დამსწრე მოსწავლეებსაც ესაუბრა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია თითოეული ბათუმელი ფლობდეს თავისი ქალაქის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას.

ნანა აბულაძე

დაბადებამდე აღმოჩენილი პოეზია – ნანა ცინცაძის ცხოვრების ექო

არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრების ამბავს ისე ყვებიან, თითქოს ლექსს კითხულობენ - უშუალოდ, გულწრფელად, სიღრმისეულად გაწვდიან იმ ბავშვურ სილაღეს, ემოციებსა და გამოცდილებას, რაც მათ პოეზიად ექცათ

გაზეთ „აჭარის“ სტუმარი ექიმი, მწერალი და პოეტი ***ნანა ცინცაძეა,*** *რომლის შემოქმედებით საღამოსაც აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში უმასპინძლეს.*

- ქალბატონო ნანა, მოგვიყევით თქვენს ბავშვობაზე, ინტერესებზე...

- ინტერესებით დავიწყებ. დღემდე ვთვლი, რომ არშემდგარი მსახიობი ვარ. პატარაობიდანვე თვითონ ვდგამდი სპექტაკლებს და მთავარი როლის შემსრულებელიც მე ვიყავი. დავიბადე და გავიზარდე იურისტების ოჯახში. ძალიან ლაღი ბავშვობა მქონდა - ცელქი, აბსოლუტურად დაუმორჩილებელი და, შეიძლება ითქვას, მავნე ვიყავი. თუ რომელიმე ბავშვი ტიროდა ეზოში, დედაჩემმა ზუსტად იცოდა, რომ მიზეზი მე ვიყავი. ერთ

ამბავს ხშირად ვიხსენებ: ალბათ სამი წლისა ვიქნებოდი, როცა ერთმა ახლობელმა თავისი გოგონა დატოვა ჩვენთან, რომელსაც ულამაზესი ოქროსფერი კულულები ჰქონდა. მე მაკრატელი ავიღე და თმა შევაჭერი... ბავშვობიდანვე შინაგანად თავისუფალი ვიყავი. თავისუფლება ჩემი სულის ნაწილია. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ზუსტად იცი, რა არ უნდა გააკეთო. თუ სულით თავისუფალი ხარ, შენი მოქმედებები ისეთია, რომ არასდროს შეგრცხვება. თავისუფლება არ ნიშნავს უკომპლექსობას - ეს სრულიად განსხვავებული ცნებებია. ვფიქრობ, ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ბავშვობა ლამაზი მოგონებაა, მასზე ფიქრი ხშირად გვეხმარება, აწმყო გავითბოთ და გავილამაზოთ.

- რატომ - მედიცინა?

- ძალიან ბედნიერი ვარ, რომ არჩევანი მედიცინაზე შევაჩერე. გახლავართ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. პირველი წიგნი მედიცინაში მაქვს დაწერილი. მთელი ცხოვრება პაციენტებთან მაქვს გატარებული. ასევე, ლექციებს ვატარებდი სტუდენტებთან. ადამიანებთან ურთიერთობა უფრო მეტად გაახლოებს ლიტერატურასა და ხელოვნებასთან, თითოეული მათგანი თავისებური მოთხრობაა. პალატაში როცა შევდიოდი და პაციენტებს ვუსმენდი, გამიჩნდა სურვილი, დამეწერა წიგნი, რომელსაც „ადამიანთა სევდა“ ერქმეოდა. მალევე გამოვიდა გოდერძი ჩოხელის წიგნი ამ სახელწოდებით და მივხვდი - მან ბევრად უკეთ თქვა ის, რისი თქმაც მე მინდოდა.

- როდის შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში პოეზია?

- შეიძლება ითქვას, რომ პოეზია დაბადებიდან იყო ჩემში, ან დაბადებამდეც - თურმე დედა მუცლად ყოფნისას მიკითხავდა ლექსებს. თუ რამე აჩერებდა ჩემს სიცელქეს, ეს იყო წიგნი. სამი წლისამ ზეპირად ვიცოდი „არსენა მარაბდელი“. ბევრი ინტენსიურად მაკითხებდა ამ პოემას თავიდან ბოლომდე. ძალიან მიყვარს ნამდვილი პოეზია. რაც მდარეა, არასდროს მყვარებია. მიმაჩნია, რომ პოეზია მათემატიკაა - კონკრეტულ, მკაფიო აზროვნებას მოითხოვს.

- ამბობთ, რომ არ ხართ რომანტიკული, მეტიც - პრაგმატული ხართ. მაშინ რა გაწერინებთ ლექსებს?

- ეს კითხვა მეც დავუსვი საკუთარ თავს და ზუსტ პასუხამდეც მივედი - მაწერინებს წამის ემოცია, რომელიც ყველაზე ძლიერი და იმპულსის მომცემია. ერთი სტროფი მაქვს:

„ზეციდან მკარნახობს ვიღაც და
მეც ვიწერ არეულ სტრიქონებს,
მერე თავისთავად ლაგდება,
რასაც მამაღმერთი იგონებს“.

მჯერა, ყველაფერში უფლის ხელი ურევია.

- რომ არ გიცნობდეთ და არც თქვენი პოეზია ვიცოდე, რომელ ლექსს წამაკითხებდით თქვენს გასაცნობად?

- ვერ დავითვლი იმ ლექსებს, რომლებიც მიყვარს. აი, მაგალითად, საქართველო ასე შემიძლია დაგიხასიათოთ:

„ქართული გენის შენახვით, ჩვენში პირველობს ვენახი“.

ან კიდევ:

„მინდოდა, მენახა მზის სხივის ქორწილი,
ჯვარს როცა იწერდა გუბეში
მთვარესთან.
იმდენხანს დამჭირდა, იმდენხანს
ლოდინი -
თვალი მოღალატე ღრუბელთან
გამექცა“.

ლექსის მოცულობას მნიშვნელობა არ აქვს - ორ ტაეპშიც შეიძლება იმხელა აზრი დაეტიოს, რომ დაგანახოს ადამიანის სული, ხასიათი და ინტერესები.

- როგორია პოეზია დღეს - ხომ არ დაკარგა ფორმა და შინაარსი?

- არა. ნამდვილად არა. იცით, როგორ ისმენენ კარგ პოეზიას? ახლა ჩემთან ერთად არიან ჩემი მეგობრები - არაჩვეულებრივი მუსიკოსი თამთა ყიფიანი და ძალიან კარგი პოეტი შორენა თალაკვაძე. ჩვენ ერთად ვხედავთ, როგორ ისმენს ახალგაზრდობა კარგ ლექსს და როგორი ოვაციებით. არ ჩათვალოთ, რომ პოეზიას ასაკი აქვს. ჭეშმარიტ ხელოვნებას ასაკი არ გააჩნია.

- რა გრძნობაა, როცა უყვარხარ მკითხველს?

- გულწრფელად რომ გითხრათ, არ ვიცი, ვარ თუ არა იმ სიყვარულის ღირსი, რასაც საზოგადოებისგან ვიღებ. მინდა, თითოეულ მათგანს მადლობა გადავუხადო ჩემი პოეზიის სიყვარულისთვის და იმ დამოკიდებულებისთვის, რომელსაც ყოველ წამს, წუთს და საათს ვგრძნობ.

- რას ნიშნავს ბათუმი თქვენთვის?

- ძალიან ახლო კავშირი მაქვს აჭარასთან. სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ბეშუმში ვისვენებდი. შეუძლებელია ბათუმი არ გიყვარდეს. ახალგაზრდობიდან დღემდე მასთან უამრავი რამ მაკავშირებს. ულამაზესი ქალაქია, მაგრამ ძველი ბათუმი ჩემთვის ბევრად მეტია - იქ მაქვს ახალგაზრდობა გატარებული. ბევრი ლექსი და სიმღერაც მაქვს მიძღვნილი, მათ შორის ერთ-ერთი, ბათუმზე შექმნილი სიმღერების კონკურსის გამარჯვებულია. ასე რომ, ბათუმი ჩემი ქალაქია.

- რა გრძნობაა, როცა თქვენს ლექსზე დაწერილ მუსიკას ისმენთ?

- ყოველთვის ვღელავ. ამ ყველაფერში ერთ-ერთი რგოლი ხარ. არავინ თქვას: „მე რომ არ ვყოფილიყავი, ეს სიმღერა არ გამოვიდოდა ასე კარგი“. ყველა რგოლი უნდა იყოს ძლიერი - ტექსტის ავტორიც, კომპოზიტორიც და შემსრულებელიც. კარგი პროდუქტის მისაღებად, კარგი სინთეზია აუცილებელი. შენი ლექსი სიმღერად როცა ჟღერს, ეს გაბედნიერებს და ახლის შესაქმნელად გაძლევს მოტივაციას.

- ძირითადად, რა ემოცია სჭარბობს თქვენს პოეზიაში?

- ყველა ემოცია აბსოლუტურად ერთნაირია. ხელოვნება მაშინ არის საინტერესო, როცა მრავალმხრივია. ერთსაც ვიტყვი: ყველა ადამიანს, მით უფრო - ხელოვანს, თავისი ბედნიერება აქვს, რომელშიც ხელი არ უნდა შეუშალო.

ნანა აბულაძე

ქობულეთის ბიუჯეტი გაიზარდა

ქობულეთის მერიის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 1 მლნ 387 000 ლარით გაიზარდა და 93 მლნ ლარზე მეტი შეადგინა. გაზრდილი ბიუჯეტი, მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების გარდა, სხვადასხვა ახალ, მნიშვნელოვან პროექტზე დაიხარჯება

უწყების ცნობით, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე - ტროტუარების რეაბილიტაცია, ცენტრალური მოედნის კეთილმოწყობა, ლესელიძის ქუჩაზე - სკვერის მოწესრიგება, გელაურში - სკვერის და საჩოგბურთო მოედნის მშენებლობა - არასრული ჩამონათვალია იმ სიახლეების, რომელსაც მერია მიმდინარე პერიოდში განახორციელებს.

სამუშაოები აქტიური ტურისტული სეზონის დასრულების შემდეგ დაიწყება. პროექტები გარდამავალია და 2025-2026 წლებში განხორციელდება. გარდა აღნიშნული საკითხებისა, საკრებულოს სხდომაზე ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოებზე მოისმინეს ინფორმაცია.

კლასიკური მუსიკის საღამო

ბრწყინვალე აღდგომის შვიდეულის დღეებში საინტერესო საღამო შემოგვთავაზეს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სოლისტებმა, რომელსაც აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს, ასევე, ბათუმის მერიის წარმომადგენლები დაესწრნენ

კონცერტზე ანდრეა ბიქსიოს, მატჩ ლის, დიმიტრი არაყიშვილის, ლუიჯი არდიტის, კლოდ დებიუსის, ალექსი მაჭავარიანის, ოთარ თაქთაქიშვილის, რიხარდ შტრაუსის და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები შესრულდა.

საოპერო დასს მალე არსებობის 30 წელი შეუსრულდება. ამ ხნის განმავლობაში ბათუმელმა მომღერლებმა რამდენიმე მაღალი დონის სპექტაკლი შექმნეს, კონცერტები გამართეს როგორც საორკესტრო შესრულებით, ისე ინდივიდუალურად - ფორტეპიანოსთან ერთად. იყო რამდენიმე საერთაშორისო გასტროლი. საოპერო დასი მუდამ განვითარებაზე ფიქრობს, ცდილობს, მსმენელის წინაშე ყოველთვის საინტერესოდ წარსდგეს. ამჯერადაც ასე იყო. კონცერტზე მოსულმა მსმენელმა ნამდვილად ისიამოვნა როგორც რეპარტუარით, ისე მომღერალთა შესანიშნავი ხმებით.

- მაყურებლის წინაშე გამოსვლა ყოველთვის საპასუხისმგებლოა. გასული წლის ოქტომბრის შემდეგ, სცენაზე პირველად გამოვედი. დღევანდელი საღამო თითოეული მომღერლისთვის ნამდვილად ზეიმი იყო, - აღნიშნა ლელა სიხარულიძემ.

- მშობლიურ ქალაქში გამოსვლა სხვა სიხარული და ემოციაა, ამასთან, სხვა პასუხისმგებლობაც. დღეს პროგრამაც შესანიშნავი იყო - ნეაპოლიტანურ მუსიკას არჩვეულებრივად შეერწყა ქართული. ვულოცავ ქალაქს, ვუსურვებ, უფრო მეტ კონცერტს, მეტ მსმენელს და ასეთ საღამოებს, - გვითხრა ოთარ ნაკაშიძემ.

- დიდი ხანია, არ გამოვსულვართ ასე ფართო აუდიტორიის წინაშე. დღეს ჩვენი მომღერლებით ძალიან კმაყოფილი ვარ. მართლა ნიჭიერია ქართველი ერი, ასეთი ლამაზი კონცერტის შეთავაზება რომ შეუძლია მსმენელისთვის. მადლობა ყველას, ვინც მოვიდა და დაგვაფასა. მადლობა კონცერტმაისტერებს, მომღერლებს, ასეთი კარგი რეპერტუარისთვის, რომელიც თავად შეარჩიეს. ეს კონცერტი სპეციალურად ბათუმელი მსმენელისთვის მომზადდა. ამჟამად სპექტაკლ „ლელასთვის“ ვემზადებით, რომელსაც 23-25 მაისს წარვადგენთ, - გვითხრა საოპერო დასის ხელმძღვანელმა მარიამ ჯახუტაშვილმა.

კონცერტში მონაწილეობდნენ: სულხან ჯაიანი, თეა გელოვანი, ლია ჯაში, სალომე სალაძე, ტანია ჯიქია, მირანდა კონცელიძე, ოთარ ნაკაშიძე, ლელა ვაშაყმაძე, ნონა კორიფაძე, ლელა სიხარულიძე, ირაკლი კორიფაძე, ირმა ჟღენტი, ეთერ ხალვაში, კონცერტმაისტერები: ნანა კვირიკაძე, ევგენია ღოღელიანი, მერი ხომერიკი, მარინა ქიქავა, თეონა წულუკიძე, ნინო ჩაიძე, ნინო ნიშნიანიძე.

მანანა ძიძიშვილი

გია აბაშიძე: კარგი არ არის დემოკრატიისთვის, როდესაც ოპოზიცია ასეთი უპრინციპო, უსუსური და არათანმიმდევრულია

მე-5 გვერდიდან

- საქართველოში პოლიტიკური კრიზისის არსებობას კატეგორიულად არ ვეთანხმები, რადგან პოლიტიკური კრიზისის განმარტება გულისხმობს ვითარებას, როდესაც მასობრივად გაფიცულია სახელმწიფო ინსტიტუციები, საჯარო სამსახურების თანამშრომლები და სხვა. დღეს საქართველოში არის მწვავე პოლიტიკური დაძაბულობა და არა კრიზისი. თუ შევხედავთ მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებებს და პროგნოზებს, საპროტესტო ტალღების მიუხედავად, არცთუ ისე ცუდ ვითარებაში ვართ. ციფრები მეტყველებს, რომ ეკონომიკა ვითარდება, დოვლათი იზრდება. მართალია, შეიძლება ეს ბევრის ჯიბესა და საფულეზე ჯერ არ ასახულა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ბუმია ტურისტულ სექტორში, მრავალმილიარდიანი ინვესტიციები შემოდის თბილისსა და ბათუმში, რაც წარმატების უდავო მიმანიშნებელია. მილიარდებს არ ჩადებენ იმ ქვეყანაში, სადაც რეალური პოლიტიკური კრიზისია. ასე რომ, პერსპექტივა დამაიმედებელია. რაც მთავარია, მშვიდობა და სტაბილურობა შენარჩუნებულია, როგორც ქვეყნის წინსვლის გარანტი, ალბათ, გაუცნობიერებლად (რადგან აპროტესტებენ), მაგრამ მაინც სარგებლობს ამ კეთილდღეობით „ქართული ოცნების“ მიმართ ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობაც. ყველას აქვს პატარა თუ დიდი ბიზნესი, ოჯახის წევრები დასაქმებული ჰყავთ, ცხოვრების დონე იზრდება, ბავშვები სკოლაში, უნივერსიტეტებსა თუ ბავშვთა ბაღებში ჰყავთ, უქმეებს კურორტებზე ატარებენ... ეს საყოველთაო სარგებელი ხომ წაიშლებოდა ომის და შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში?!

ირმა ცეცხლაძე

ფრე – „გარეჯთან“

საგარეჯოს „გარეჯი“ ეროვნული ლიგის აუტსაიდერია და იგი ბოლო - მეათე ადგილზეა. სწორედ მას შეხვდა ბათუმის „დინამო“ და მატჩი ფრედ - 1:1 დაასრულა, რითაც მნიშვნელოვანი ქულა დაკარგა

ანგარიში მასპინძლებმა კი გახსნეს, მაგრამ შესვენების შემდეგ „გარეჯმა“ 77-ე წუთზე წონასწორობა აღადგინა. მასპინძელთა კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, რომელიც საგარეჯოელთა კაპიტანმა ლევან პაპავამ ზუსტად შეასრულა.

თერთმეტი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს მოქმედი ჩემპიონი „იბერია“ ლიდერობს. ბათუმის „დინამო“ 23 ქულით მესამე ადგილზეა. გორის „დილა“ დამატებითი მაჩვენებლებით მეორე ადგილზე გადავიდა, რაც შეეხება საგარეჯოს „გარეჯს“, ის კვლავ ბოლო - მეათე ადგილზეა.

მანანა კიკიშვილი

პროექტ MACRO CLEAN-ის პრეზენტაცია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 30 აპრილს გაიმართა საერთაშორისო პროექტ MACRO CLEAN-ის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ბსუ-ის რექტორი, პროექტის მართვის ჯგუფი, უნივერსიტეტის ლექტორები და სტუდენტები

პროექტის კოორდინატორმა წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია პროექტის ძირთადი მიზნების და დაგეგმილი აქტივობების შესახებ. ასევე, განხილული იყო ის ძირითადი კვლევები, რომლებიც პროექტის ფარგლებში, პარტნიორი ქვეყნების ინსტიტუტებს შორის აქტიური თანამშრომლობით არის გათვალისწინებული.

პროექტი მიზნად ისახავს, შეამციროს ადამიანის აქტივობების ზემოქმედება, რაც იწვევს ევტროფიკაციას, ხელი შეუწყოს წყალმცენარეების პოტენციალის ეკონომიკური დანიშნულებით გამოყენების საპილოტე პროექტების დანერგვას და შავი ზღვის რეგიონში რესურსების მდგრად გამოყენებას.

პროექტის ძირითადი აქტივობები მოიცავს შემდეგს:

- ყოვლისმომცველი კვლევის მეთოდოლოგიის ერთობლივად შემუშავებას წყალმცენარეების შესასწავლად და შესაბამისი საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების ჩატარებას კვლევითი ჯგუფების მიერ (5-კაციანი მკლევართა ჯგუფი თითოეული ქვეყნიდან);
- ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას - პარტნიორი უნივერსიტეტებისთვის ლაბორატორიული მოწყობილობების შეძენას და საპილოტე სასათბურე მეურნეობის შექმნას (საშულოდ 80,000 ევრო თითოეულ უნივერსიტეტზე);
- წყალმცენარეებისგან სასუქის მიღების, მცენარეებზე მისი გავლენის შეფასებისთვის საცდელი ვერსიების შემუშავებას და აგროსექტორში გამოყენების პოტენციალის შეფასებას;
- წყალმცენარეებისგან ბიოპლასტიკის მიღების საპილოტე ცდების ორგანიზებას და მათი ეკონომიურ საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობის შეფასებას;
- დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას - საერთაშორისო ვორქშოფების, ტრენინგების და კონფერენციის ორგანიზებას წყალმცენარეების, ევტროფიკაციის და რესურსების მდგრადი გამოყენების საკითხებზე.

პროექტი MACRO CLEAN-ი - „კვლევა, დასუფთავების მეთოდოლოგიები, ეკონომიკური ვალორიზაცია და მაკროწყალმცენარეების საპილოტე გამოყენება“ ხორციელდება ევროკავშირის შავი ზღვის აუზის Interreg NEXT-ის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამის ფარლგებში და თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

პროექტის პარტნიორები არიან - სინოპის უნივერსიტეტი (თურქეთი) - პროექტის ლიდერი პარტნიორი, მარმარის რეგიონის მუნიციპალიტეტების გაერთიანება (თურქეთი), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო), შუმენის უნივერსიტეტი (ბულგარეთი).

მილოცვა

დედას - ეთერ დიასამიძეს

იყო წლები, როცა შენს მოლოდინში მამა და სამი ვაჟი ვიყავით. სიკვდილ-სიცოცხლის სადარაჯოზე მდგომი, სამსახურიდან დაღლილი დაბრუნებული ღიმილით შემოაღებდი სახლის კარს და სიყვარულს, სიკეთეს შემოიტანდი.

გავიდა წლები, ჩვენ გავიზარდეთ, უკვე ორი ვაჟი მშობლის სტატუსის მატარებელნი ვართ. დედა, შენც წლები მოგემატა, შვილიშვილები, რძლები გახდნენ თქვენი მოფერებისა და პატივის ღირსნი. ახლა შუახევის საკრებულოს სპეციალისტად საქმიანობ.

გვიხარია, რომ მრგვალ თარიღს - დაბადებიდან 60 წლისთავს გილოცავთ ორი - საქართველოდან, ერთიც - ოკეანის გაღმიდან - ამერიკიდან.

შევთხოვთ უფალს, მრავალი წელი გაგეტარებინოს ჩვენზე მოფერებაში და ჩვენც გვქონდეს დაბადების დღეების მოლოცვის ბედნიერება.

დედი, გვიყვარხარ! იდღეგრძელე!

შვილები
გიორგი, გოჩა და უჩა დავითაძეები

ეთერ დიასამიძეს

ქალბატონო ეთერ, ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება დღე, რომელიც გამორჩეულ მოფერებას ითხოვს. უფლის ნებით, თქვენი ცხოვრების კალენდარზეც ასეთი დღე დადგა. საიუბილეო თარიღი ყველას ახარებს, გამონაკლისი ვერც თქვენ იქნებით.

მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილმა კარგად გაითავისეთ ადამიანებთან ურთიერთობა და მათი თანადგომა. წლები შეალიეთ შუახეველთა ჯანმრთელობის დაცვას, როგორც პროფესიონალმა მედდამ. მალე ორ ათეულ წელს მიითვლით, რაც შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სპეციალისტად მუშაობთ. დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, ერთხელ არჩეულ სპეციალობასაც ვერ ელევით, იქ ხართ, სადაც ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულნი დგანან. მრავალი შემთხვევა გვახსოვს, როცა ადამიანებს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეთ.

ყველა დადებით საქმეს ავსებს და ალამაზებს ის დიდი სიყვარული და თანადგომა, რასაც წუთისოფლიდან წასული თუ გვერდით მყოფი მშობლების, დედმამიშვილებისა და ცოცხლების მიმართ იჩენთ, ყველა გადარდებთ, ყველას ეფერებით.

გილოცავთ დაბადების დღეს, მშვიდობა, სიკეთე, სულის სიმხნევე და სხეულის სიჯანსაღე იყოს თქვენი მეგზური!

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები

ურეხში იყიდება 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით. დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 1/05/25, 17 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

როცა სცენაზე თოჯინები ცოცხლდებიან...

თოჯინების თეატრი ბავშვობის ჯადოსნურ სამყაროს უკავშირდება, თუმცა მის მიღმა დიდი შრომა და მოთმინება იმალება. მეთოჯინე მსახიობებს განსაკუთრებული მისია აკისრიათ - მათ სიცოცხლე უნდა შთაბერონ უგრძნობ თოჯინას, გადმოსცენ პერსონაჟის ემოციები და ხასიათი ხმით, მოძრაობითა და ჟესტებით. ეს პროფესია ფიზიკურ გამძლეობას, ტექნიკურ ცოდნასა და დიდ ერთგულებას მოითხოვს, რადგან ყოველი წარმოდგენა სინათლისა და ჩრდილის, რიტმისა და მეტყველების ფაქიზ თანხვედრას ეფუძნება

ჩვენი სტუმარია ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის მსახიობი ***სალომე ცაგურია.*** *მის რეპერტუარში შედის სპექტაკლები: „გერდა“ (გერდა), „თორმეტი თვე“ (დედოფალი), „იავნანამ რა ჰქმნა“ (გამზრდელი), „ზურმუხტ ქალაქის ჯადოქარი“ (დოროთი), „ვინი პუჰი და ახალი მეგობრები“ (ფუტკარი/ ნავიგატორი), „პატარა დინოზავრის პლანეტა“ (პიგი), „ქალთევზა“ (ქალთევზა), „ნაცარქექია“ (ფერია), „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ (ელისი), „გრინჩი“ (მაქსიმა), „ოჯახი“ (შვილი) და სხვა. როგორია თოჯინებთან მუშაობა, რამდენად რთულია მასთან დაკავშირებული ტექნიკის დაუფლება და როგორ ემზადება როლისთვის - ამ და სხვა საინტერესო თემებზე სალომე ცაგურია გვესაუბრება.*

- სალომე, როდის გადაწყვიტეთ, რომ მსახიობი გამხდარიყავით და რატომ თოჯინების თეატრი?

- დაახლოებით 5 წლის ვიყავი, როცა გავაცნობიერე, სცენაზე დგომა რა ბედნიერებას მანიჭებდა. სულ სცენაზე ვიდექი, ძირითადად, ვმღეროდი, თუმცა ყველა ჩემს მუსიკალურ ნომერს თეატრალური ელემენტებით ვავსებდი, რომელსაც სხვადასხვა სატელევიზიო შოუში ვნახულობდი. შემდეგ, 12 წლის ასაკში, იყო ჩემი პირველი სპექტაკლი „ჰელადოსი“ და პირველი როლი - „ელენა მიხაილოვნა“ სენაკის აკაკი ხორავას დრამატულ თეატრში ჩამოყალიბებულ მოზარდთა

დასში. როდესაც სცენაზე მსახიობის ამპლუაში გავედი, მივხვდი, რომ ეს იყო ის, რაც მინდოდა და ჩემი ოცნების რეალობად გადაქცევა დავიწყე. ბათუმის თოჯინების თეატრში სრულიად მოულოდნელად აღმოვჩნდი, მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი. დრამის ფაკულტეტი დავამთავრე, თუმცა თოჯინასთან შეხებისთანავე მივხვდი, რომ მას უფრო აღმატებული, განსხვავებული, სხვა დონის სამსახიობო ოსტატობა სჭირდებოდა. მომეწონა, შემიყვარდა და ახლა ამ ყველაფრის გარეშე ჩემი ცხოვრება ვერ წარმოიდგენია.

- როგორია თოჯინებთან მუშაობა და რით განსხვავდება ეს სხვა სამსახიობო ხელოვნებისგან?

- ვაღიარებ, ეს პროფესია არ არის მარტივი. თოჯინის ფლობა, მისთვის სულის შთაბერვა და გაცოცხლება განსაკუთრებული ხელოვნებაა. გადმოსცე შენი პერსონაჟის შინაგანი მდგომარეობა მაშინ, როდესაც შენ დგახარ სცენაზე, უფრო მარტივია, ვიდრე ეს შეძლო მაშინ, როცა თოჯინაა წინა პლანზე. ეს ურთულესი პასუხისმგებლობაა. მისი ყველა მოძრაობა რაღაცას უნდა ამბობდეს და ამაზე მუშაობა დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. კიდევ ერთი ფაქტორიცაა - ერთ თოჯინას შესაძლოა 2-3 ადამიანი ათამაშებდეს. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ სამივე ადამიანი ერთნაირად სუნთქავდეს, გრძნობდეს თოჯინას და პერსონაჟის ხასიათს. სწორედ ამიტომ ვამბობ ყოველთვის, მეთოჯინე მსახიობობა რაღაც განსაკუთრებულია. მიხარია, რომ ამ ყველაფრის ნაწილი ვარ.

- გყავთ საყვარელი თოჯინა ან პერსონაჟი, რომელიც გითამაშიათ?

- ყველა თოჯინა, თავისი არსით და ხასიათით, განსხვავებულია, მაგრამ აქვთ ერთი საერთო - ისინი ჩემი ნაწილები არიან. ამიტომ არ შემიძლია მათგან რომელიმე ავარჩიო.

- როგორი შეგრძნებაა, როცა პერსონაჟის მთელი ცხოვრება თქვენს მოძრაობებსა და ხმაზეა დამოკიდებული?

- როდესაც ვქმნით პერსონაჟის ხასიათს, მოძრაობას და ხმის ტემბრს, ამაზე მუშაობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაა. უნდა იყო კონკრეტული, განსხვავებული, ერთი მეორეს არ უნდა ჰგავდეს. უნდა გააცოცხლო ისე, რომ შენც გაბედნიერებდეს მისი არსებობა. ძალიან ფაქიზად თუ არ მოეპყრობი, თოჯინა დაკარგავს სიცოცხლეს. შვილივითაა, სულ ყურადღებას და მოვლას საჭიროებს.

- ხმა როგორ იძებნება პერსონაჟისთვის?

- ხმის ტემბრის ძიება იწყება თოჯინის ვიზუალის და პერსონაჟის ხასიათის მიხედვით. პირველ რიგში, იწყება პერსონაჟის ძიება (ასაკი, ხასიათი, სახის გამომეტყველება, მიმიკა, მანერა), იქმნება თოჯინა, შემდეგ კი ამ ყველაფრის ერთმანეთთან შერწყმა ხდება. ვეძებთ ხმის ტემბრს, რეპეტიციების განმავლობაში ვცვლით ან ვინარჩუნებთ, სანამ საბოლოო შედეგამდე არ მივალთ.

- რამდენად რთულია თოჯინასთან დაკავშირებული ტექნიკის დაუფლება?

- ეს საკმაოდ რთული პროცესია. თოჯინები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თითოეულ მათგანს განსაკუთრებული დგომის მანერა სჭირდება. ხელი მსუბუქი უნდა იყოს, დაძაბულობა არ უნდა ეტყობოდეს, რადგანაც ეს თოჯინის პლასტიკაზე აისახება. ყოფილა მომენტები, როცა თოჯინის გათამაშების შემდეგ ხელები ისე მტკიოდა, ვტიროდი, თუმცა, ეს ყველაფერი ამად ღირს.

- არსებობს სპექტაკლი ან რეჟისორი, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა თქვენზე?

- აღსანიშნავია სპექტაკლი „გრინჩი“, რომლის რეჟისორი ავთო დიასამიძეა. ამ სპექტაკლში ვთამაშობდი მაქსიმას - გრინჩის ერთგულ მეგობარ ძაღლს. ერთია, თოჯინა გააცოცხლო და ისაუბრო ჩვეულებრივი ტექსტით და მეორე, გააცოცხლო თოჯინა, რომელიც არ საუბრობს და ყეფით უნდა გადმოსცე ყველა მისი ემოცია. პირველად, როცა ჩემი როლის შესახებ გავიგე, ტანში ჟრუანტელმა დამიარა, შემეშინდა კიდეც, არ ვიცოდი, ამას როგორ შევძლებდი. ძალიან ბევრი ვიმუშავე, ძაღლებს ვაკვირდებოდი, მათ სხვადასხვა მოქმედებას, ყველა ვიდეო თუ გადაცემა ვნახე ძაღლებზე და მათ მანერებზე. ამ სპექტაკლმა ძალიან დიდი გავლენა იქონია ჩემზე. ბევრად გავიზარდე და ვაღიარებ - ახლა უფრო მეტად მესმის ძაღლების (იცინის). მადლობელი ვარ ამ შესაძლებლობისთვის.

- როგორ ფიქრობთ, რა როლი ენიჭება თოჯინების თეატრს თანამედროვე საზოგადოებაში?

- თოჯინების თეატრი საოცრად ეფექტური საშუალებაა ბავშვების განათლებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა რთული თემების ახსნაა საჭირო (ემოციები, სოციალური ქცევა, თანასწორობა და სხვა). თეატრი კულტურის ცოცხალი მუზეუმივითაა, რომელიც ახალ თაობებს ამ კულტურასთან აკავშირებს და, რაც მთავარია, ამ ყველაფერს მარტივი ენით აკეთებს. თანამედროვე თოჯინების თეატრი ხშირად იყენებს ალეგორიას და იუმორს რთული სოციალური საკითხების ასახსნელად. რადგან თოჯინები ემოციურ დისტანციას ქმნიან, მაყურებელი უფრო თავისუფლად ეკიდება რთულ და მტკივნეულ თემებს. თოჯინების თეატრი ეხმარება ადამიანს განტვირთვაში, განწყობის შექმნაში, ცხოვრების სილამაზის შეგრძნებაში და არა მხოლოდ პატარებს და მოზარდებს, ზრდასულ ადამიანებსაც კი. ხანდახან ყველას გვჭირდება ბავშვობაში დაბრუნება, რათა ყველაფერს სხვა თვალით შევხედოთ. საერთო ჯამში, თოჯინების თეატრი საზოგადოების სარკეა, ის ასახავს ჩვენს პრობლემებს, ოცნებებს, კულტურას და ამას აკეთებს ასაკის, ენის და საზღვრების გარეშე.

- გქონიათ კურიოზული შემთხვევა სპექტაკლისას, რომელიც არასდროს გავიწყდებათ?

- პირადად მე არ მქონია, მაგრამ მახსოვს ასეთი შემთხვევა: სპექტაკლში „იავნანამ რა ჰქმნა“ იაკობ გოგებაშვილის როლის შემსრულებელს ჰქონდა სცენა, სადაც ის აცემინებდა. დარბაზში ისეთი სიჩუმე იყო, ბუზის გაფრენის ხმასაც გაიგონებდით. მსახიობმა დააცემინა თუ არა, დარბაზიდან ძალიან გულწრფელი ხმით გაისმა: „ჯანმრთელობა, მამაო“ (ალბათ, ჩაცმულობისა და ვიზუალის გამო ჩათვალა, რომ მამაო იყო)... ეს იყო ყველაზე გულწრფელი „ჯანმრთელობა“, რაც კი დაცემინებისას მომისმენია. ყოველ ჯერზე მახსენდება. სასაცილო რამდენად არის, არ ვიცი, მაგრამ მაშინ მთელი გულით ვიცინეთ.

- ბავშვები როგორ რეაგირებენ სპექტაკლებზე?

- ზოგადად, ბავშვები ძალიან არიან ჩართულები სპექტაკლის მსვლელობაში. დარბაზიდან გეუბნებიან ხოლმე, როგორ უნდა მოიქცე, თუ ტირი - გამშვიდებენ, თუ გიხარია, მათაც შენთან ერთად უხარიათ. ყოველთვის ვცდილობ, ბავშვებთან კონტაქტი მქონდეს სცენიდან. შესაძლოა, ფრაზები არ მქონდეს მათთან, თუმცა ემოციურ კომუნიკაციას ყოველთვის ვამყარებ. მესმის მათი ყოველი სიტყვა და სუნთქვაც, ასევე, როგორ გრძნობენ პერსონაჟის მდგომარეობას.

- გქონიათ საკუთარი თოჯინური სპექტაკლის შექმნის სურვილი?

- ამაზე ჯერ არ მიფიქრია, თუმცა მინდა რეჟისურაზე მაგისტრატურის გაგრძელება. არ ვიცი, ამას როდის გავაკეთებ, სურვილი კი წლებია არსებობს ჩემში.

- როგორ ემზადებით როლისთვის, როდესაც თოჯინა უნდა გააცოცხლოთ?

- რიტუალივით მაქვს უკვე, დღის განმავლობაში რამდენიმე საათით ვზივარ სარკის წინ და თოჯინასთან ერთად ვმუშაობ. თოჯინას რომ ვუყურებ, ასე მგონია, ისიც მხედავს. ასე ვაკეთებ სისტემატურად. არ ვიცი, ეს რამდენად კარგი სანახავია გარედან, თუმცა ეს პროცესი ძალიან მეხმარება.

- გითამაშიათ ისეთი როლი, რომელმაც თქვენს პიროვნებაზე გავლენა მოახდინა?

- „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ (რეჟისორი - ირაკლი კიკვაძე) - ეს არის სპექტაკლი, რომელმაც ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. ძალიან ბევრ საკითხს სხვანაირად შევხედე. ამ სპექტაკლში არის ისეთი მნიშვნელოვანი მესიჯები, როგორებიცაა საკუთარი თავის და შეცდომების მიღება-აღიარება, დაკარგული გზის პოვნა, სამყაროს ახლიდან შეცნობა და ასე შემდეგ. ეს სპექტაკლი მოზარდებისთვის უფრო მარტივი გასაგები აღმოჩნდა, ვიდრე ზრდასრულებისთვის. ალბათ, იმიტომ, რომ მოზარდები სწორედ ახლა არიან სამყაროსა და საკუთარი თავის გაცნობა-შეცნობის ეტაპზე, ზრდასრულებს კი მიგვაჩნია, რომ უკვე ყველაფერი ვიცით და უცნობი აღარაფერი დარჩა. სწორედ აქ ვცდებით.

- როგორ ფიქრობთ, რომელია თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე, როგორც მსახიობის?

- მოსმენა მიყვარს. შესაძლოა, დღის განმავლობაში მოსმენილი სხვადასხვა დიალოგი ერთი წლის შემდეგ არ მახსოვდეს, მაგრამ 10 წლის წინ რეჟისორის მიერ ახსნილი და მოწოდებული ინფორმაცია გუშინდელივით მახსოვს. მიყვარს საკუთარ თავთან და სცენაზე მუშაობა, რეპეტიცია და ამით არ ვიღლები. სირთულეებს არ ვუშინდები, პირიქით, რაც უფრო რთულია პერსონაჟი ან სპექტაკლი, მით უფრო კარგად ვგრძნობ თავს.

- ზღაპრების პერსონაჟებიდან რომლის როლის შესრულებას ისურვებდით?

- ალბათ, უცნაურია, მაგრამ საოცნებო როლი არ მაქვს. ჩემთვის ყველა როლი თავისი არსით, განსაკუთრებული და ღირებულია. თუ საკუთარ თავს დავუწესებ, რომ რომელიმე ამ კონკრეტულ როლს ვეღირსო და მეტი არაფერი, მაშინ გამოდის, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმის ზღვარი კონკრეტულ როლზე გადის. მე კი ვთვლი, რომ ჩემი შესაძლებლობები უსაზღვროა, წერტილის გარეშე. სწორედ ამიტომ არ ვუწესებ საკუთარ თავს საზღვარს. ვფიქრობ, ყველა პერსონაჟი უნდა იყოს პრიორიტეტული გამონაკლისის გარეშე, აუცილებლად უნდა გიყვარდეს და პატივს სცემდე მას. არ აქვს მნიშვნელობა, მთავარი როლია თუ მეორეხარისხოვანი. დიდი და პატარა როლები ჩემთვის არ არსებობს. არსებობენ მხოლოდ დიდი და პატარა ადამიანები, რომლებსაც ან ესმით როლის მნიშვნელობა, ან - არა.

მარიამ ხითარიშვილი